# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 177 — სამშაბათი, 11 აგვისტო 1909 წ. — № 177

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ხ. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დახაბეჭდი განცხადებანი მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ... საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია იტოვებს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ აგვისტოდან წლის ბოლომდე—4 მ. 40 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური — დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба“ И. С. АГЛАДЗЕ.



ცხრა ამ თვეს გარდაიცვალა ტფილისის წმ. ნინოს სასწავლებლის მეშვიდე კლასის მოსწავლე

## ნინო,

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მშობლები **ივანე და ელისაბედ როსტომაშვილები**, ბიძა მისი—**დიმიტრი დავითის ძე ჩოლოყაშვილი**, ძმები—**დავით, ნიკო** და **ვახტანგი**, დები—**ბაბო, ტასო** და **მარო** და სიძეები—**სერგეი ვორონოვი** და **ალექსანდრე ახმეტელაშვილი**. გამოსვენება (საკუთარ სახლიდან, თუმანიანთ ვიწრო ქ., 38) კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე და დაკრძალვა დანიშნულია დღეისთვის, დილის ცხრა საათზე. (1—405—1)



მიხაილოვის მეორე ხარისხის კერძო სასწავლებლის

## გამგეობა

აცხადებს, რომ თხოვნები მიიღება 20 მარიამობისთვემდის გამგეობის სახელზე; ეგზამენები დაიწყება 20 მარიამობისთვეში ყველა კლასში, არუწოვის სახლში.

სწავლის ქირა იგივე რჩება, მხოლოდ განაწილებული იქნება ორად: პირველი ნაწილი უნდა გადაიხადონ არა უგვიანეს პირველ ოქტომბრისა, მეორე—პირველ თებერვლისა. (ნ—ხალ.—1



## !!! საზოგადოების საყურადღებოდ !!!

ამა წლის 11 აგვისტოდან იხსნება ახლად და დიდებულად შეკეთებული სასტუმრო

## „კავკაზი“

(ერევნის მოედანთან, სასამართლო, საზოგადო და სხვა დაწესებულებების მახლობლად)

ოთახები ელექტრონით არის განათებული და საუკეთესოდ და საუცხოვოდ მორთული. ფასები ძალიან იაფია, მოსამსახურე მეტად ზრდილობიანი, ბუფეტი მშვენიერ დარბაზშია მოთავსებული. არის საუკეთესო აქაური და საზღვარ-გარეთელი ღვინოები. საუზმე, სადილი და ვახშამი ევროპიული და აზიური. თვალ-ყურს ადევნებენ პირველ-ხარისხოვანი კულინარები.

● ცალკე კაბინეტები კიანინოთი ●

(1—ხალ.—1) პატივის-ცემით **სიხარულიძე და კორჩია.**



ექიმ ვ. ღამბაშიძის

## სანატორიუმი

გაიხსნა 15 ივნისს. არის რამდენიმე ადგილი მოზრდილთათვის საერთო ოთახებში.

დაწვრილებითი პირობები წერილით ბორჯომს.

Въ мѣст. Боржомъ. Платформа Гамбашидзе, Санаторіумъ Гамбашидзе. (0—25)



**ექიმი** კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7: კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (70—გვ.—34)

**კაბინეტი** კბილის საექიმო ა. ა. თათევოზოვი

(ყოფილი თანაშემწე ლ. მტრეიზერისა) რაზიეზჟაის ქუჩა, სახლი N 19, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. იღებს კბილით და ღრძილით ავადმყოფებს დილით 9—2 ს.. საღამოთი 4—7 საათამდე. (25—323—25)

**ექიმი** გ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. გირჩნი, N 9. (უ)

**ექიმი** კაკიტელაშვილი ქუთაისში

9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ხომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან· მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—6.—38)

**ექიმი** ა. ს. ალადიშვილი ბორჯომში,

ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიულ საფაკულტეტო კლინიკისა, იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 11—1 ს. საღამოთი 6—7 ს. ერუსოვსკის ქ., N 34, აგარაკი ზუბალაშვილისა. (25—321—25)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დევიდოვი და გ. ო. სუხარევსკი

იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. ბლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბორონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (6—586—222)



## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რუდენკო**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

**რიდელი**—ბავშვისა, შინაგანი. ყოველ დღე 2½—3½ ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე 1½—3 ს.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბთ, ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

**ბოუთვსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**გორალევიჩი**—შინაგან, ყოველ დღე 11½—12½ ს.

**იაკ. ჩუდნოვსკი.**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

**ახპისოვი**—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

**ხუდაბაშევი**—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

**ახვლედიანი**—ბავშვისა შინაგ. ყოველ დღე 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—77)

**ექიმი** ვ. ღამბაშიძე გადავიდა კოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 721. (9. 132

ახლად გახსნილი ტფილისის

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოკზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ი. გ. **ფილდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

ვ. დ. **ღამბაშიძე**—პირველ სექტემბრამდე შეჩერდა მიღება.

ბ. ა. **პოპოვი**—პირველ სექტემბრამდე შეჩერდა მიღება.

ა. ნ. **დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. **მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. **გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშ. ავად. 2—3 ს.

გ. ს. **მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—129)

## გამგეობა

ყვირილის სამეურნეო ბანკისა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ, თანახმად ამა 1909 წლის 19 ივლის მომხდარ საზოგადო კრების დადგენილებისა, ბანკის 10% საწევრო თანხა გადიდებულ უნდა იქნას 20%, რომლის გასადიდებლადაც უკანასკნელ ვადად ითვლება ამავე წლის 19 აგვისტო,

გამგეობა ბანკისა, აცხადებს რა ამას, სთხოვს ბ-ნთ წევრთ, ხსენებულს ვადამდე შემოიტანონ გასადიდებელი თანხა. (3—6.—3)

დ. ყვირილაში

მთავრობის ნებართვით 1 ენკენისთვიდან იხსნება ვაჟთა კერძო

## — პროგიმნაზია —

ყვირილის და მის გარემოს მცხოვრებთა საყურადღებოდ სასწავლებლის გამგეობა აცხადებს:

1. მსურველთაგან თხოვნები მიიღება 1 აგვისტოდან დროებით დეკ. დ. ღამბაშიძის სახლში; 2. მოსამზადებელ და მემდეგ კლ ხებში მისაღები პირობები ისეთივეა, როგორიც მთავრობის ამგვარსავე სასწავლებელში; 3. სწავლის ფული მოსამზადებელ კლასებში 50 მან. წლიურად, ხოლო 1 კლასიდან 60 მან; 4. სასწავლებელში მისაღებად საჭიროა მეტრიკული მოწმობა და ყვავილის აცრის მოწმობა. (8—კვ.—7)



## ტფილისის

ქართველ თავად-აზნაურთა გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭო

ამით აცხადებს, რომ მომავალ საზაფხულო წლისთვის (1909—1910) ვაკანსიები იქნება **პირველ განყოფილებაში, მეოთხესა და მეხუთე კლასში.**

საზოგადოდ ეგზამენები დაიწყება აგვისტოს 19-ში, ხოლო პირველ განყოფილებაში—25-ში. თხოვნა და საჭირო დოკუმენტები (მეტრიკის, აცრის და ჩამომავლობის მოწმობა) წარმოდგენილ უნდა იქნას აგვისტოს 10-თვის.

გიმნაზიის მოწაფეებმა, რომელთაც აქამდის არ შემოუტანიათ გასულ სასწავლო წლის ფული, გამოცხადებისათანავე უნდა წარმოადგინონ. წინააღმდეგ შემთხვევაში გამორიცხულად ჩაითვლებიან.

ახლად შემომსვლელნი მოვალენი არიან, სწავლის ფული წარმოადგინონ მიღებისათანავე.

წლიური გადასახადი განყოფილებაში არის 30 მან., გიმნაზიურ კლასებში—40 მანეთი.

რადგან მოწაფეთათვის სავალდებულოა მთავრობის მიერ დამტკიცებული ფორმა, საპედაგოგიო საბჭო სთხოვს მოწაფეთა მშობლებს და მზრუნველებს, მობრძანდნენ გიმნაზიის კანცელარიაში და გაიცნონ ფორმა.

კანცელარია ღია იქნება ოთხშაბათობით და შაბათობით, დილის 10—12 საათზე. (3—6.—1)

## იყიდება

იაფად **სააგარაკო ადგილები,** თითო ნაჭერი 500 საჟენი და მეტი, სოფელ **თელოვანში** (ტფილისის მაზრა), ტფილისიდან 13 ვერსის მანძილზე საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილით. საგარაკო ადგილები მაღლობზეა, 3000 ფუტზე, მდიდარი ტყითა და წყაროებით, მშვენიერი ჰავით, სანახაობით და მდებარეობით. იყიდება პატრონთან მორიგებით და ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდით; ვინც ბევრ ნაჭერს იყიდის, იმას ფასი საკმაოდ დაეკლება.

მიმართვა შეიძლება: ტფილისს, ფრეილინის ქუჩა, № 1, სახლი ბაისოლოღოვისა, რუსეთის 1-ლ ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების მთავარ კანტორაში **ზაქარია გიორგის ძეს მაღალაშვილს.** (50—6.—21)

ქ. ქუთაისში.

თ. მთავრიშვილის წიგნის

## მაღაზიაში

დამზადებულია დიდ-ძალი ქართული და რუსული სახელმძღვანელო, სამეცნიერო, სალიტერატურო, სახალხო და საყმაწვილო წიგნები, ქართული და რუსული მოძრავი ანბანი, რვეულები ქართულ და რუსულ წერისათვის. აქვე იყიდება ოჯახსა და სკოლაში საკითხავი ქართული წიგნი **„ვუთანი“**, შედგენილი ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებელთა მიერ.

სასწავლებლებს, ბიბლიოთეკებს, სახალხო-მოქმედო დაწესებულებებს და წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 10%. (25—6—1)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს:

განთავისუფლდა სტიპენდიები: ერთი აბესალომოვის სახელობისა—უმაღლეს სასწავლებლებში, ხოლო სამი ქალაქისა—ტფილისის მესამე ქალთა გიმნაზიაში. სტიპენდიები დანიშნულია უღარიბეს სტუდენტისა და მოსწავლე ქალთათვის ტფილისის მცხოვრებთაგან, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

თხოვნები საჭირო დოკუმენტებით შეტანილ უნდა იქმნას ქალაქის გამგეობაში 1909 წლის 20 აგვისტომდე. (3—6.—2)



სამშაბათს, 11 აგვისტოს, პეტერბურგისა და მოსკოვის უნივერსიტეტებთან არსებულ **ტფ. სტუდენტთა „ზემლიაჩესტვოების“** სასარგებლოდ „ინტერნაციონალის“ ბაღში (ტფ. სობრანიის ძველი სადგომი) გაიმართება

## დიდი სეირნობა

**საკონცერტო განყოფილებით.**

სეირნობა დაიწყება ნაშუადღევის 4 საათზე, კონცერტი 8½ ს. კონცერტის შემდეგ **ცეკვა.**

კონცერტზე შესვლის ფასი 1 მ., სეირნობაზე—30 კ. მოსწავლეთათვის 30 კ. და 15 კ. (1—უ.—1)

## რესტორანი „იუჟანი“

თავ.-აზნაურ. საზაფხულო თეატრი და ბაღი

ორი თავი სადილი 60 კ. სამი—80 კ. ოთხი—1 მან. ბაღში უკრაინულ ოპერის ორკესტრი გ. ვ. ფალიაშვილის ლოტბარობით.

● სინემატოგრაფი ●

ბაღში შესვლა უფასოდ. (2—406—1)

„განათლების“ საზოგადოების

## სკოლაში

(სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩა, № 6.)

ეგზამენები როგორც დასაწყისს განყოფილებაში, ისე პირველ და მეორე პროგიმნაზიულ კლასებში დაიწყება 25 აგვისტოს. (3—2)


## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„ივერია“ ჩვენებურ სოციალ-დემოკრატებს ჰკიცხავს. მიზეზი შვეციის გაფიცვაა. აქაო და ჩვენებურ სოციალ-დემოკრატებს უკიჟინებენ, ეროვნულ ნიადაგზე არა სდგეხართ და თქვენმა საერთა შორისო პოლიტიკის წარმოებამ სრულიად დაჩრდილა ჩვენი, ქართული ინტერესებიო, „ივერია“-ც შესაძლებლად მიაჩნია არა ღირსეულად დააფასოს ესა თუ ის მოძრაობა მუშათა კლასისა. იგი თავის უკანასკნელ (№ 32) ნომერში სტოკჰოლმის საყოველთაო გაფიცვას ეხება და ამბობს:

„ამ გაფიცვაზე ჩვენშიაც არა ერთი საგაზეთო მეთაური დაიწერა, არა ერთი სიტყვა დაიხარჯა, იქ გაფიცულთა სასარგებლოთ ჩვენებურმა არა მკითხე ჭირისუფლებმა შეიძლება არა ერთი გროში გამოართვან გაძვალ-ტყავებულ ხალხს, რაც და საერთა შორისო პროლეტარიატის სოლიდარობა უნდა დავამტკიცოთო... ნამდვილად კი ამ გაფიცვის მიზეზი და მნიშვნელობა ყველას თანასწორედ გაგებული არა აქვს ზოგს კიდევ ამ გაფიცვაზე შემცდარი შეხედულებაც ექნება... იქ, შვეციაში, უნდა გადაწყდეს საკითხი, რომელსაც ჩვენ აქ ვემსახურებითო. მუშათა კლასი იქ კაპიტალისტებს ებრძვის და თუ გაიმარჯვა ეს გამარჯვება ჩვენი გამარჯვებაც იქნება, ჩვენში მუშათა კლასის გამარჯვების წინამორბედათ ჩაითვლებაო“.

„ივერია“, რა თქმა უნდა, სულ სხვა თვალით უყურებს საქმეს. მისთვის საერთაშორისო სოლიდარობა მუშებისა ფუჭი სიტყვაა. თავის მოსაზრების დასამტკიცებლად, იგი უადგილოდ ჰღეჰავს ათიათასჯერ განმეორებულ ჭეშმარიტებას.

შეიძლება განა ვიფიქროთ, რომ ის, რაც შვეციაში მოხდა, ჩვენშიაც განმეორდება, რომ იქაურ მუშათა კლასის სიძლიერე ჩვენებურ მუშების სიძლიერეს ამტკიცებს? შვეციაში ხალხის ერთი მესამედი ქალაქ ადგილებში სცხოვრობს ამიტომ ქალაქ ადგილებში ვინც რჩება გამარჯვებული, ის არის გამარჯვებული სოფლადაც. ჩვენში კი ქალაქებში ხალხის ერთი მეათედი თუ სცხოვრობს, ისიც ბევრია. შვეციაში ხუთ მილიონ მცხოვრებზე თითქმის მილიონ ნახევარი, ე. ი. თითქმის ერთი მესამედი მუშათა კლასს ეკუთვნის, უმიწა-წყლო პროლეტარია, ჩვენში კი ასეთი უმიწა-წყლო მუშა, სოფელს მოწყვეტილი, რამე უძრავ არ მქონე ერთი მეათედიც არ არის. ამიტომ იქ, შვეციაში კლასთა ბრძოლას შეუძლია მილიონ ნახევარი ხალხი საერთო მიზნით შეაკავშიროს, ჩვენში კი ნამდვილ კლასთა ბრძოლას, კლასიურ მიზანს ასეთი სასწაული არ შეუძლია.

ყველა ამის გამო, „ივერია“-ს შესაძლებლად მიაჩნია პატეთიურად განაცხადოს:

„ჩვენში ბრძოლისთვის საჭიროა სხვა დროშა, სხვა მიზნები, სხვა იდეალებიო“.

როდესაც სოციალ-დემოკრატები, საერთა შორისო სოციალიზმით გატაცებულნი, სრულიად ივიწყებენ ხოლმე ქართველ ხალხის სპეციალურ ინტერესებს, ჩვენ ყოველთვის აღვნიშნავთ ხოლმე ამას. შეცდომა იყო, როდესაც სოც.-დემოკრატები ანგარიშს არ უწევდნენ ადგილობრივ პირობებს და კლასიურ ბრძოლას ისე აწარმოებდნენ, თითქოს დიდს სამრეწველო ცენტრებში ყოფილიყვნენ. ჯერ ეხლაც-კი გვარწმუნებენ, კაპიტალიზმი „მიყრუებულ სოფლებშიაც კი შეიჭრაო“. მაგრამ არა ნაკლებ შეცდომას სჩადის „ივერია“, როდესაც ამბობს:

„ჩვენებური სოციალ-დემოკრატები დიდის აღტაცებით უმზერენ სტოკჰოლმის ამბებს. ამ ამბებით თავს ნუგეშობენ და ამით კმაყოფილნი არიან,—თითქოს ამითი ჩვენში რამე საქმე გაკეთდებოდეს და მშიერ-მწყურვალს ხალხს ნაჭერი პური ან გროში ფული ემატებოდეს.

ვაჟრული ანგარიშია! „ივერი“-ას ავიწყდება, რომ მშრომელ ხალხის ბრძოლა ვაჟრულ ანგარიშებზე მაღლა სდგას. შვეციის გაფიცვა გერმანულ მუშებს პირადად არაფერს შეჰმატებს. ეს იმათაც კარგად იციან, მაგრამ მაინც ზნეობრივსა და მატერიალურ დახმარებას უწევენ. ვისთვისაც სოციალურ სამართლიანობის დამყარება ფუჭი ოცნების მეტი არაფერია, რასაკვირველია, სხვანაირად ვერც შეჰხედავს საქმეს. მაგრამ ის, ვისაც სწამს ამ სამართლიანობის დამყარება, დიახაც სიხარულით შესცქერის შვეციის ამბებს და გულ-წრფელად სიამოვნობს იმ სოლიდარობით, რომელიც მუშებმა გამოიჩინეს. ადგილობრივ ინტერესების წინ წამოყენება კლასიურ ინტერესების დაჩრდილვას არა ნიშნავს. პირ-იქით, ერთსაცა და მეორესაც უფრო მეტი ძალა და მნიშვნელობა ეძლევა, როდესაც საფუძვლად საყოველთაო სამართლიანობის პრინციპები ედება.

## დეპეშები

(პეტ. ტ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

9, 10 აგვისტო

### ოსმალეთი

**სტამბოლი.** მინისტრთა საბჭომ განიხილა საბერძნეთის საპასუხო ნოტა და დაადგინა, საბერძნეთიდან აღარ გამოიწვიოს თავისი ელჩი. ხვალ გადასწყვეტენ, რა მიმართულებას მიიღებს მოლაპარაკება.

**სტამბოლი.** დეპუტატთა პალატის უკანასკნელი სხდომა არ შესდგა, რადგან ძალიან ცოტა დეპუტატი დაესწრო. ნაშუადღევს 5 საათზე შინაგან საქმეთა მინისტრმა წაიკითხა მანიფესტი პალატის სესიის დახურვის შესახებ. დეპუტატთა პალატის თავმჯდომარემ წარმოსთქვა სიტყვა და მოკლედ აღნიშნა გასულ სესიის მუშაობის მსვლელობა. თავმჯდომარემ დეპუტატებს აცნობა, სულთანმა დეპუტატთა პალატის ჩარ-განის სასახლე დაუთმოო. პალატა პირველ ნოემბრამდის დაითხოვეს.

**სტამბოლი.** სენატმა მიიღო დეპუტატთა პალატის მიერ მოწონებული კანონპროექტი, რომლითაც ანგორასა, დიარბეკირსა და კნატის შუა რკინის გზა უნდა იქმნას გაყვანილი. სენატი და პალატა ერთად დაითხოვეს.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს სიტყვით მოსალოდნელია, რომ ოსმალეთის მთავრობა სახელმწიფოების უკანასკნელ ნოტას პასუხს არ გასცემს, რადგან სახელმწიფოების ნოტაში არ არის ისეთი მუხლი, რომელიც პასუხს თხოულობდეს. ოსმალეთის მთავრობამ ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო, რომ ხალხის მტრულ განწყობილებას ბერძნების-

სადმი ცუდი შედეგი არ მიელო. შეუძლებლად სთვლიან, რომ ოსმალეთმა სახელმწიფოებს მიმართოს და სთხოვოს მაკედონიის საქმეების მოწესრიგებაში ჩაერიეთო. ოსმალეთი საბერძნეთის უკანასკნელ ნოტით დაკმაყოფილდება.

### ს პ ა რ ს ე თ ი

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს თეირანიდან ატყობინებენ: 6 აგვისტოს გერმანიის საზღვრებში ყაჩაღებმა დააპატიმრეს სპარსეთის ბანკის მოხელე რაიტი. რაიტი ჯერეც არ გაუნთავისუფლებიათო.

### საზღვარ-გარეთ.

**მელილია.** გუშინ, 8 აგვისტოს მავრები თავს დაესხნენ ესპანიის სამხედრო-სატრანსპორტო რაზმს. ესპანიელებს მოუკლეს 2, დაუჭრეს 6 კაცი.

**ხამერფესტი.** 8 აგვისტოს, კუნძულ შპიცბერგენიდან ჩამოვიდნენ სამხედრო გემები „ჰარალდი" და „ნეპტუნი". გემებმა ამბავი მოიტანეს, რომ 2 აგვისტოს უელმანი მშვენივრად აფრინდა და პირდაპირ პოლიუსისკენ გაემართა. 40 ინგლისურ მილის გავლის შემდეგ ბალონს ჩამოსწყდა უკან მობმული ტყავის აბგები სურსათით. ამის შემდეგ ბალონი საქეს აღარ დაემორჩილა და უელმანი იძულებული შეიქმნა, ძირს დაშვებულიყო. როდესაც ნორვეგიელ იზაკსენას ექსპედიციის წევრებმა გაიგეს ეს, გემ „ფრამი"-დან რამდენიმე კაცი ყინულით წავიდა, როგორც იყო დაიჭირეს საბუქსირო თოკი და ბალონი საღამოს 11 საათზე ვირგოს ნავთსადგურში მოიტანეს. ახლად გაფრენა ამ წელიწადს აღარ შეიძლება. უელმანი ვირგოში დარაჯებს დასტოვებს, თვითონ კი მომავალ კვირას ნორვეგიაში დაბრუნდება.

**მელილია.** მავრები დაეცნენ მატარებელს, რომელსაც სურსათი მიჰქონდა. მავრები უკუ აგდეს.

პეკოპიდან იუწყებიან: გუშინ საღამოს კაბილებს კარგა დიდი რაზმი შეუერთდა. კაბილები ქალაქს დაეცნენ. შედეგი არ ვიცით.

### რ უ ს ე თ ი

**ორიოლი.** სამხედრო სასამართლომ დაამთავრა ბეჟეცკის მაქსიმალისტ—რევოლიუციონერთა ჯგუფის საქმე. სასამართლომ გადაუწყვიტა: ერთს—სიკვდილი, დანარჩენ 24 კაცს—სხვა და სხვა ვადით კატორგა.

**ოდესსა.** პოლიციამ გაჩხრიკა სხვა და სხვა ადგილი, რომ აღმოეჩინათ არყის საიდუმლო ვაჭრობა. გაჩხრეკის დროს აფეთქდა სპირტი, რომელშიაც ანთებული სპიჩკა ჩავარდა. მძიმედ დაშავდა ბოქაულის თანაშემწე, მსუბუქად—უბნის ორი ზედამხედველი და სახლის პატრონი.

**ლიუბლინი.** ღამე გასტეხეს ბაზის გამასესხებელი კასსა. წაიღეს 20,000 მანეთზე მეტი ოქროს და სხვა ნივთები. გატაცებულის ნაწილი პოლიციამ დაიჭირა რკინის გზის სადგურზე.

**პოლტავა.** დუქნებში დააპატიმრეს ყალბი ფულის გამსაღებლები, სპარსეთის ქვეშევრდომები. მათ 5000 მანეთის ყალბი ფული აღმოაჩნდათ.

**მსტისლავი.** სოფელ კოლოდეზშიახში სამი ბოროტგანმზრახველი თავს დაეცა ადგილობრივ მღვდლის სახლს. ბოროტგანზრახველებმა სასიკვდილოდ დასჭრეს მღვდელი და მისი და, და მოჰკლეს ტყის გამგე, რომელმაც ერთი ბოროტგანზრახველთაგანი მოჰკლა.

**სევასტოპოლი.** სამხედრო-საზღვაო სასამართლომ დაამთავრა გემ „პოტიომკინის" კაჩეგრად ნამყოფის დავიდოვის საქმე. მას ჰბრალდებოდა გემზე 1905 წელს მომხდარ არეულობის მეთაურობა. სასამართლომ 14 წლით კატორგა გადაუწყვიტა.

**ზენკოვი.** სოფელ ბობრიკოვში გადაიწვა 40 სახლი.

### ხ ო ლ ე რ ა

**პეტერბურგი.** 9-10 აგვისტოს, დღელამეში ხოლერით ავად გახდა 58, გარდაიცვალა 18, ავად არის 338 კაცი.

**ეკატერინებურგი.** სენის დაწყებიდან აქნობამდის ავად გახდა 11, გარდაიცვალა 3 კაცი; მოტოვილიხში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 1 კაცი; კუნკურაში ავად გახდა 1 კაცი.

**სარატოვი.** უვეკაში და ულეშახში ავად გახდა სამი კაცი.

**არხანგელსკი.** ქალაქში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 1 კაცი; მაზრაში ავად გახდა 1 კაცი; კემსა და მის მაზრაში ავად გახდა 7, გადაიცვალა 2 კაცი.

**ნოვგოროდი.** გასულ კვირაში ავად გახდა 20, გარდაიცვალა 8 კაცი.

**ორენბურგი.** ტროიცკაში ავად გახდა ერთი კაცი.

# ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

**✦ პოლიტიკური საქმე.** ხვალ, 12 აგვისტოს, კავკ. სამხედრო ოლქის სასამართლო განიხილავს საქმეს დადიანისა, მულინისა, ბრალკინისა, ხუნტარიასა და სხვათა, რომელთაც ჰბრალდებათ ს.-დემოკრატიულ პარტიის სამხედრო ორგანიზაციაში მონაწილეობის მიღება. ბრალდებულნი პასუხის გებაში არიან მიცემულნი სასჯელთა დებულების მე-102 მუხლის ძალით.

**✦ დაშნაკციუთუნის გამო.** ერევნიდან ჩამოიყვანეს საზოგადო მოღვაწე თავ. იოსებ არგუთინსკი და გაჰგზავნეს ნოვოჩერკასკში. თავ. არგუთინსკის ჰბრალდება დაშნაკციუთუნის პარტიის წევრობა.

**✦ ნამესტნიკის ჩამოსვლა.** კავკასიის ნამესტნიკს ამ თვეში მოელიან პეტერბურგიდან. ტფილისში მოსვლამდე იგი დაღესტანში შეივლის. როგორც ვიცით, ამ თვეში 50 წელიწადი სრულდება, რაც რუსეთმა საბოლოოდ დაღესტანი აიღო. ამის გამო დიდ დღესასწაულებსა მართავენ გუნიბში, სადაც დაღესტნის იმამი შამილი შეიპყრეს. ამ დღესასწაულებისთვის გუნიბში დიდ ძალ ჯარს უყრიან თავს. ნამესტნიკი გუნიბში 22 აგვისტოს მივა.

**✦ საზოგადო საცხოვრებელი მოსწავლე ბავშვთათვის.** ტფილისში არსდება საზოგადო საცხოვრებელი ტფილისს გარედ მცხოვრებ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა იმ შვილებისათვის, რომელნიც აქა სწავლობენ.

**✦ ბერლინელი პროფესორი.** ტფილისში ჩამოვიდა ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი ბუსსე. პროფესორმა უნდა გაიცნოს მეთამბაქოობის საქმე ჩვენში. ბ-ნი ბუსსე ჯერ ლაგოდეხს მიდის, მერე სოხუმის ოლქში წავა.

**✦ საინტენდანტოს უფროსი.** როგორც დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს, კავკასიის ჯარის მეორე კორპუსის უფროსი გენ.-ლეიტენანტი შუვაევი დაუნიშნავთ საინტენდანტოს მთავარ გამგეობის უფროსად და სამხედრო სამინისტროს მთავარ ინტენდანტად.

**✦ მიწის-ძვრა.** 7 აგვისტოს ნაშუადღევის 4 საათსა და 43 წუთზე ახალ-ბაიაზეთში მიწა იძრა. მიწისძვრამ სამ წუთს ნასტანა.

**✦ უპასპორტოები.** 7 აგვისტოს პოლიციის მესამე ნაწილში ჩხრეკის დროს დააპატიმრეს 8 უპასპორტო კაცი

**✦ ვერის სასაფლაო.** როგორც ვწერდით, ტფ. ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღსძრა საქართველოს ეგზარხოსის წინაშე, იჯარით დასთმობოდა ქალაქს ვერის სასაფლაო საეკლესიო ბაღის გასამართავად. ქალაქის გამგეობას აზრადა აქვს ხელ მეორედ აღძრას შუამდგომლობა. მეორეს მხრით, სამღვდელოებას სანთლის ქარხნისათვის ეხლანდელი სადგომი არა ჰყოფნის და განზრახვა აქვს ეს ადგილი გამოიყენოს..

**✦ მატარებელზე თავ-დასხმა.** დეპეშებში უკვე იყო, რომ კავკასიის რკინის გზაზე, სადგურ სუვოროვსკაიასა და ნაგუთის შუა რამდენიმე ბოროტგანზრახველი თავს დაეცა მეარტელეს. სამგზავრო მატარებელში ცალკე კუპეში მჯდარა მეარტელე ბელოვი, რომელსაც მიჰქონებია 32,000 მანეთი. მეარტელეს ახლდნენ შეიარაღებული დარაჯები. იმ ვაგონში, რომელშიაც მეარტელე მჯდარა, ყოფილა 30 მგზავრი. უცბად აურ-ზაური ატეხილა. 30 მგზავრიდან 15 კაცი ბოროტ-განზრახველი გამომდგარა და განგებ ჩამსხდარან ამ ვაგონში. ბოროტ-განზრახველები იმწამსვე მეარტელეს კუპეს სცემიან, გასავალ-გამოსასვლელი დაუჭერიათ და მგზავრებისთვის უბრძანებიათ, ადგილიდან არ დაიძრათო. მეარტელეს და ორ დარაჯს, რა თქმა, წინააღდეგობა ვერ გაუწევია 15 კაცისთვის. დარაჯებს დაუჭრიათ ერთი ბოროტგანზრახველი. ბოროტგანზრახველებს თავის მხრივ ჩაქუჩით მკერდსა და თავში დაუჭრიათ ერთი დარაჯი. ამის შემდეგ ბოროტგანზრახველებს მეარტელესთვის წაურთმევიათ 32,000 მანეთი, ვესტინგაუზის ტორმაზით მატარებელი დაუყენებიათ და ალხეინად გადმობრძანებულან. აქ მათ ცხენები ელოდინენ თურმე, შემსხდარან და მოუკურცხლნიათ.

**✦ დარჩენილი მამულები.** ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულმა, მიხეილ ყიფიანმა ბანკის გამგეობას წარუდგინა მოხსენება საჯარო ვაჭრობის დროს დარჩენილ მამულების შესახებ. როგორც ვიცით, ბანკს ბევრი მამული რჩება. 1908 წლის მოგებიდან, მაგალითად, 360,000 მანეთამდე გადაიდო იმ ზარალის დასაფარავად, რომელიც ბანკს დარჩენილი მამულებისაგან მოუვიდა. ბ-ნი ყიფიანი სწერს, რომ ბანკს ძალიან დიდი ზარალი მოუვა, თუ რადიკალური ღონისძიებანი არ იქმნა მიღებული დარჩენილ მამულების ლიკვიდაციის ასაწევად. ბ-ნი ყიფიანი ამბობს, რომ დარჩენილ მამულების მართვა-გამგეობა არ არის სასურველად მოწყობილი და ეს არის მიზეზი, რომ შემოსავალი ნაკლებია.

მომხსენებელი წინადადებას აძლევს ბანკს, გააუმჯობესოს დარჩენილ მამულების მართვა-გამგეობის საქმე. ამ გზით შეიძლება მოემატოს შემოსავალი მამულებს, აიწევს ფასი და მაშინ შესაძლებელი გახდება სრული ლიკვიდაციაო.

**✦ სხდომა ერობის შესახებ.** დღეს, 11 აგვისტოს, ნაშუადღევის 1 საათისთვის დანიშნულია სხდომა ერობის შესახებ საგუბერნიო სათათბიროს ბიუროსი.

**✦** 8 აგვისტოს, დღის 12 საათზე, სამუშაოზე გამოუშვიათ მეტეხის ციხეში პატიმარი იოსებ იანისი. პატიმარი საპატიმროს სახურავიდან გადასულა გირგიდოვის სახლის სახურავზე და იქიდან მიმალულა. როცა გაიგეს ეს ამბავი, შეუდგნენ ძებნას, მაგრამ გაპარული ვეღარ იპოვნეს.

**✦** 7 აგვისტოს ობვოდნი ქუჩაზე მცხოვრების პარუნ-სარქისოვისთვის ქურდებს მოუპარავთ 606 მანეთის ნივთები. 2 აგვისტოს, ღამე, შერჩეულის გასაღებით შეპარულან ქურდები კიროჩნი ქუჩაზე ნატალია მურადოვის სახლში და გაუტანიათ 120 მანეთის ნივთები და ფულად 30 მან. 8 აგვისტოს რუსთველის ქუჩაზე მცხოვრებ ერმალოზ ხაფთასის სახლში, სახლის პატრონის შინ არ ყოფნის დროს, ქურდებს 500 მან. ნივთები გაუტანიათ. ეჭვი ამ ქურდობაში მიიტანეს ადამ ბუზოევზე, ისააკ ჩურადიანცსა და ტატო მეჩიტაშვილზე; ესენი დააპატიმრეს.

# მოწერილი ამბები

**სოფ. მცხეთა** (დუშეთის მაზრა). უიღბლოა ეს ოდესღაც სახელმწიფოს დედა ქალაქი და ახლა, ჟამთა უკუღმართობისა გამო, უბრალო სოფლად ქცეული მცხეთა. ყველაზე დიდი აღიაქოთი და მეხლა-შემოხლა მცხეთას სასმელ დუქნების მოწმობების აღების დროს უხდება ხოლმე. ხალხს არა სურს ამოდენა სასმლის დუქნები თავის სოფელში, მედუქნეები კი ყოველ ღონეს ხმარობენ ხოლმე და თავისი გააქვთ კიდეც. წრეულს რამდენიმე მცხოვრები კარგად მიიბეგვა კიდეც უთუოდ მამასახლისაგან, რადგან გაჰბედეს და სახალხოდ სთქვეს თავიანთი აზრი ამ დუქნებზე.

სხვა რამ საქმე მაგრე რიგად არ აინტერესებთ მცხეთელებს, თუ, არ ვიცი ბედი არა აქვთ. მაგ. სკოლა ჯერ იყო ყაზახებს დაუთმეს სკოლის შენობა; მერე, როცა ისინი წავიდნენ, სტრაჟნიკებმა დაიდეს შიგ ბინა, თუმცა როგორც პირველთ, ისე მეორეთ სოფლისგან [illegible] ნაშოვნი. როცა [illegible], [illegible] ნათ [illegible] ამ შემოდგომიდან სწავლას მოვახერხებთო, მაგრამ აქაურმა მამასახლისებმა, ძველებმა და ახალმა, იმის მაგივრად, რომ ხელი შეეწყოთ ამისთანა საქმისთვის, აიდეს და სტრაჟნიკები მოათავსეს, რომელთა გაყვანას სკოლის სახლიდან ახალი შუამდგომლობა მოუნდა გუბერნატორთან. ასე ბრკოლდება ამ უბედურ ვარსკვლავზე დაბადებულ სკოლის საქმეები. უკვე იცის მკითხველმა, რომ გუბერნატორმა შეიწყნარა თხოვნა.

სალხის საერთო გაჭირვებას ერთი უბედურება მიემატა. ამ უბედურებამ ხალხი დამის მოთმინებიდან გამოიყვანოს და ქუდზე კაცი გუბერნატორთან ჩაიყვანოს საჩივლელად. ამას წინად legatus-ის წერილი იყო გაზეთში მომრიგებელ შუამავლის მოვალეობა-უფლებებზე. როგორც ეტყობა, ამ თანამდებობის ადამიანებს ბევრის გაკეთება შესძლებიათ მცხოვრებთათვის. არა მგონია, რომ დუშეთის მაზრის მცხეთის მხარე უმომრიგებელ-შუამავლოდ იყოს გამგებული, მაგრამ მას არავინ იცნობს, იგი არავის უნახავს, საგურამოელების მეტს სტარისელსკებთან დავიდარაბის დროს. ხალხი გზად თუ სოფლად სულ მამასახლისების ცემატყეპას უჩივის. ცემაც არის და ცემაც, ყოფილა შემთხვევა, რომ მცხეთისკენ მამასახლისს და მის სტრაჟნიკებს ისე ეცემოთ კაცისთვის, რომ პირიდან თქრიალით სისხლი გადმოვარდნოდეს. არავინ ყურადღებას არ აქცევს. მომრიგებელი-შუამავალნი, როგორც გავიგე, თავს იმითი მართლულობენ, რომ ჩვენამდის საჩივარი არ მოდის, მოჩივარს ვერა ვხედავთო. თქვე დალოცვილებო, ვინ ასტეხავს ეხლა საჩივარს? ყოველი ასეთი უბედური სცდილობს, როგორმე მალე მორჩეს დავიდარაბას და თავის გატიალებულ სახლს მიეხედოს. სადა სცალიან სასიარულოდ, საჩივრების სადევნელად! საწყალი მომრიგებელი-შუამავალნი ხშირად გვიდნენ ხოლმე თავიანთ რეზიდენციებიდან და სოფელს მეტის გულ შემატკივრობით მოეკიდნენ. მათი გავლა-გამოვლა თავიანთ ნაწილებში წვრილ მოხელეებს ფრთებს შეაკვეცავს. **არა მცხეთელი.**

—

**თელავი.** მკითხველთ უეჭველია ეხსომებათ თელავში ვაჟთა გიმნაზიის დაარსების საქმე. გაზაფხულზევე შე-

# მუხის ფიქრები

ტრიალს მინდორზე, ობოლო,
რას გაგიშლია ტოტები,
რასა ბუტბუტებ ნიავზე,
რას ჰფიქრობ, ეგრე ღონდები?

—

„— მგზავრო იჩრდილე ჩრდილოშია,
ყური დამიგდე მუხასა,
ფოთლებით მწვანეს ფრთებ გაშლილს,
მაგრამ გულით კი მწუხარსა!
ვითესლე უღრანს ტყეშია,
მაგრამ გამოველ განზედა,
შავმა ყორანმა დამიდვა
თავის გარუჯულს ფრთაზედა.
ბევრი რამ ვნახე, ბევრს რასმე
შევხდი ჩემს ტიალს გზაზედა,
არკი ცხოვრებამ გამწირა,
თუ დამეწერა ცაზედა!
მაგრამ არ ვნანობ... ეს მიჯობს,
ვიყო აქ მარტოთ ეული,
ვიდრე იქ ტყეში სუროთი
შებოჭვილ-შემოხვეული!
მიყვარს მე ლაღი მინდორი,
ბალახ-ბულახის შრიალი,
ზამთარში თეთრი ნაბადი,
ზაფხულში ზურმუხტიანი!
აქ ვერვინ მიხვევს თვალებსა,
გავსცქერი ყოველ მხარესა,
მთებს, ბორცვებს, ქალაქს, მინდორსა
ზღვის მოთამაშე ტალღებსა.
ტოტებსა ვგრეხავ, ტოტებს ვშლი
მედგარს, და ქარიშხალზედა
მებრძვიან, ვიბრძვი, ვჭახჭახებ,
ვღელავ ქუხილის ხმაზედა.
რაა, მითხარით, რა სიტკბო,
რომ დავიმალო ტყეშია,
დავსჭკნე, ჩამოვხმე, დავეცე,
ლეშს მიუმატო ლეშია!
აჰა, დაიწყო საღამოც—
ეს ჩემი სანატრელია,
მინდორი გადაჭიმულა,
მთა კი მის საყვარელია;
გამოხტა მშველი ნამზედა;
შეითამაშა კორდზედა,
ბულბულმა დაიკისკისა
ვარდის დაცრემლილს ყლორტზედა.
წამოიწია მთვარემა,
მიარღვევს ვარსკვლავთ კრებასა,
წუთით თუ ბრძოლა განვცადე,
ახლა ვეძლევი შვებასა.
ეს არის ჩემი სიცოცხლე;
ეს არის ჩემი სურვილი
ბრძოლა—და შვება ბრძოლითა,
შვება და ბრძოლის წყურვილი!
მაგრამ ეს, მგზავრო, უნდა ვსთქვა,
მეც კი მაქვს გულში ვარამი,
შენ ამას გაგაგებინებს
ჩემი ტოტების სალამი!
დაუგდე ყური ფოთლების
საუბარს, იმის შრიალსა,
მაშინ შეიტყობ შენ მხოლოდ
ჩემი ფიქრების ტრიალსა!
ვერ მოვიშორე ყორანი,
ჭილყვავთა გუნდი ტიალი,
ტოტები იცრემლებიან,
როს მესმის მათი ყიალი!
ვაი თუ მოვკვდე ყანის პირს,
იმათის ფრთების ჩრდილშია,
შემიკრან ცა და ვარსკვლავი,
ვეგდო დამპალი თხრილშია.
ვერა მხედავდეს დღისით მზე,
ღამე მთოვარე სრიალა,
ვკვნესოდე ჭილყვავთ ბრჭყალებში:
ეხ, ბედო, გაგატიალა!
ქარმაც წაიღოს ნაფოტი,
მიაგდოს ვარდის ძირშია,
ვერ მიცნოს სამაისომა,
არ დამქვითინოს ჩრდილშია!"

—

აი, ეს არის ფიქრები
ტრიალს მინდორზე მუხისა,
აი, ეს არის ნაღველი,
იმის კაჟიან გულისა!

**ი. ევდოშვილი.**

# ეროვნება, ენა და ესთეტიური კულტურა

**7.**

(დასასრული *)

არსებობს სულიერი ურთიერთობა კულტურულ კაცობრიობისა, სულ სხვა პრინციპზე აშენებული, ვიდრე მატერიალური ურთიერთობა, თუმცა მასზე უფრო მკვიდრო და გავლენიანი. მატერიალური ინტერესები მხოლოდ სივრცის და დროების ვიწროდ შემოფარგლულს წრის საზღვრებში აკავშირებენ, სულიერი ინტერესები კი ჰქმნიან სივრცისა და დროების შემთხვევითი საზღვრებისაგან დამოუკიდებელს სულიერს ერთობას. იქ ბრძოლა და წინააღმდეგობაა. აქ განსხვავებულ ეროვნულ ძალთა სრული ჰარმონია. კაცობრიობის განვითარება არის შეუჩერებელი ზრდა ამ სულიერ ერთობისა. ეროვნებანი ჰქრებიან და თან მიაქვთ თავიანთი მატერიალური კულტურა: ის კი, რაც მათ ნიჭსა და თავისებურებას შეუქმნია დიადი და გენიოსური, სულიერ კულტურის სფერაში ხელუხლებელს საუნჯედ რჩება მსოფლიო გონებრივს სალაროში; ამ ნაყოფიერების საშუალებით მათი ორიგინალური სული სამუდამოდ რჩება კაცობრიობის განვითარების ფაქტორად.

ამ მხრივ ეროვნება უკვდავია. ძველი საბერძნეთის მატერიალური კულტურა დიდი ხანია დაიღუპა, გაწყდა ეკონომიურ ინტერესთა ნასკვი, რომელსაც შეეძლო დაეკავშირებინა კლასიკური ქვეყანა შემდეგ თაობებთან, მაგრამ ელლინური სული მაინც სცხოვრობს კლასიკურ მეცნიერების, ხელოვნების, ფილოსოფიის და მითოლოგიის სახით, როგორც უდიდესი კულტურული ძალა ჭეშმარიტებისა და მშვენიერებისკენ მამოძრავებელი. თვით ჩვენი სამშობლოს წარსული მატერიალური მდგომარეობა მოქმედებს ჩვენს დღევანდელს ნაციონალურს არსებობაზე არა პირდაპირ, არა უშუამავლოდ, არამედ სოციალ-ფსიხიურ გამოცდილების შემწეობით, რომელიც ერთი თაობიდან მეორე თაობამდე იზრდება და მრავალფერდება. მატერიალური კულტურა წინ მიდის და მისი განვითარების ერთი საფეხური უარყოფს მეორეს, ეროვნება კი, მიუხედავად ამისა, ირჩენს იგივეობას და ნათესაობას თავის წარსულთან სულიერ შემოქმედების საშუალებით. რა გვაერთებს, მაგ., ჩვენ ჩვენის აღორძინების ხანასთან, გარდა იმ ორიგინალურ სულიერ კულტურისა, რომელმაც უმშვენიერესი და უმაღლესი (მაგრამ ყოველს შემთხვევაში არა ერთად-ერთი) გამოხატულება მაშინდელს ლიტერატურულს შემოქმედებაში იპოვა? ეკონომიურ ინტერესთა მთლიანობა, რასაკვირველია, დარღვეულია, სავსებით უარყოფილია ის საფეხური მატერიალურ განვითარებისა, რომელზედაც ჩვენი შორეული წინაპარნი იდგნენ, მაგრამ ათასი ხილული და უხილავი ძაფი აკავშირებს მთელს ჩვენს ფსიხიურს არსებობას წარსულ თაობათა არსებობასთან—შეგნებულადაც, მაგრამ კიდევ უფრო ხშირად მალულად, შეუგნებლად. ჭეშმარიტების ძიებაში, ეთიურს და ესთეტიურს დაფასებაში, უდიადეს სიკეთეთა და მშვენიერებათა აღიარებაში, გრძნობაში, აზროვნებაში, რწმენაში და სასოებაში—ყველა ამ მხარეში აღმოჩნდება თანდათანობა და თავისებურება ეროვნულ სულის განვითარებისა, საჭიროა მხოლოდ მისი ისტორიის და მრავალმხრივობის შეგნებულად შესწავლა და გათვალისწინება. ეს შესწავლა გვაპოვნინებს სავსებით ჩვენ თავს, ჩვენ ეროვნულ მეს და შეგვაძლებინებს ორიგინალურს და განათლებულ კაცობრიობისთვის შესაფერ შემოქმედებას—უნიჭო და საცოდავ წაბაძულების მაგივრად.

ეროვნულ სულის დამოკიდებულობა და რეალობა თითქმის არსად არ იხატება ენის გარეშე ისე აშკარად და თვალსაჩინოდ, როგორც ესთეტიურს სფერაში, არსა არა ჰქმნის თვითეული ეროვნება ისე გამოუკლებლად თავის საკუთარ არსების სიღრმიდან, როგორც აქ, მიუხედავად იმისა, რომ ესთეტიური ნიჭი და მშვენიერებისადმი ლტოლვა ისეთივე საყოველთაო საკაცობრიო ფსიხიურს მომენტს წარმოადგენს, როგორც ლტოლვა ჭეშმარიტებისა ან უმაღლეს სიკეთისადმი. კიდევ მეტი: იგი ელემენტარულია და უძლეველი და ბუნებრივ პირველ-ყოფილობით მოქმედებს თვით თავის უდიდეს გამოხატულებაში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, რა უზარმაზარი განსხვავება არსებობს სწორედ ესთეტიურ კულტურის მხრივ სხვა და სხვა ეროვნებას შორის! რამდენად ჭრელი და მრავალფეროვანია ხელოვნება მეცნიერებასთან შედარებით, მდიდარი განუმეორებელ, დამახასიათებელ ნაკვთებით და თვისებებით! თანამედროვე კაცობრიობა არსებითად ერთნაირად აზროვნებს, რამდენადაც იგი მეცნიერულად აზროვნებს, მაგრამ სულ სხვა და სხვა გვარად ჰგრძნობს, რამდენადაც იგი ესთეტიურად გრძნობს: ეს ერთის შეხედვით პარადოქსალური დებულება სავსებით შეესაბამება საქმის ნამდვილს ვითარებას—ადამიანის ინტელექტუალურსა და ემოციონალურ მხარის ურთიერთობას.

მეცნიერება ობიექტიურ ჭეშმარიტების თვალ-საზრისით მუშაობს; არსებობს თუ არა ასეთი ჭეშმარიტება—ეს სხვა საკითხია, ყოველს შემთხვევაში ყოველი დარგი მეცნიერებისა აუცილებლად გულისხმობს მის არსებობას. ხელოვნება, პირ-იქით, ჰქმნის სუბიექტიურ ღირებულების მიხედვით და მისი სინამდვილე სრულიად შეუდარებელია ჩვეულებრივს სინამდვილესთან. თავის მიზნის მისაღწევად მეცნიერება მუშაობს ობიექტიურ წარმოდგენათა და ცნებათა სისტემით, ხელოვნება კი, პირიქით, ფანტაზიის ფორმებში განხორციელებულ სუბიექტიურ გრძნობების სურათებით. მეცნიერი სცდილობს, სინამდვილე ისე შეიგნოს, როგორც ის არსებობს თავის თავად, სუბიექტიურ მხედველობის და შეთვისების დამოუკიდებლად; ესტეთიკოსი, პირიქით, სცდილობს დაგვანახოს იგივე სინამდვილე, როგორც იგი მას ეჩვენება, გაატაროს ის ადამიანურ გრძნობათა პრიზმაში და იმის შემადგენელ ელემენტებიდან მხოლოდ ის მხარეები აირჩიოს, რომელიც შემოქმედ ფანტაზიისთვის გამოსადეგია ესთეტიურ სამეფოს ასაშენებლად. მეცნიერების მიერ მიღწეული საყოველთაოდ სავალდებულო რეზულტატები მოწმობენ ადამიანის აზროვნების ძირითად კანონების და პრინციპების იგივეობას, ხელოვნების მიერ შექმნილი ნაწარმოებნი კი—გრძნობათა და ფანტაზიის მოქმედების განუზომელს სიმდიდრეს და მრავალ-მხრივობას. მთელს თანამედროვე მეცნიერულს

*) იხ. „დროება", N 175.

სდგა კომიტეტი, რომელშიაც არიან თავად-აზნაურობის, ქალაქის, ინტელიგენციის და მოქალაქეთა წარმომადგენელნი. ამ კომიტეტს უნდა ეთავა გიმნაზიის მოწყობის საქმე და უპირველეს ყოვლისა კი ნებართვის მოპოვება. აი, სწორედ ეს გაძნელდა. ენკენისთვემ უკვე მოატანა და არავითარი ნებართვა არ არის მიღებული. თუმცა გვიან, მაგრამ კომიტეტი მაინც დაფაცურდა. დაიწყო ცნობების შეკრება, თუ გაიხსნა გიმნაზია, იქნება თუ არა მოსწავლეთა კომპლექტი და სხვა. მოსწავლეთა მხრივ (როგორც განცხადებებიდან სჩანს, ჯერ ასამდეა თხოვნა შეტანილი) დაბრკოლება არ იქნება. ამასთან წელიწადში 80 მანეთს სწავლის ფულს მაგრე რიგად არ ბეგრობენ; ყველა ამბობს: ოღონდ გახსენით გიმნაზია, რომ ჩვენი შვილების ცხრა მთას იქით გადაკარგვა არ მოგვიხდეს და ფულს გადავიხდითო. შენობის მხრივაც საქმე ადვილად მოგვარდება, პირველ მოსაწყობად ფულიც მზადაა, მხოლოდ, როგორც ვთქვით, ნებართვა აბრკოლებს საქმეს.

საბოლოოდ მოსალაპარაკებლად 29 ივლისს მოხდა კომიტეტის კრება. ამ კრებაზე გამოირკვა, რომ მზრუნველის კანცელარიაში უკვე შეუკრეფიათ ცნობები, კანცელარიას გარანტიად წელიწადში 8—10 ათასი მანეთი მოუთხოვნია. კომიტეტს კი გადაწყვეტილი აქვს ადგილობრივი საშუალებით შეინახოს გიმნაზია, პირველ წლებში მაინც, რის დასასაბუთებლადაც შედგენილია დაწვრილებითი ხარჯთ-აღრიცხვა. აღრიცხული ფული არა თუ ყოფნის, წელიწადში 1000—2000 მანეთი რჩება კიდეც. ამ საქმემ ცხარე კამათი გამოიწვია. უმრავლესობა იმ აზრისა იყო, რომ მომავალ სამოსწავლო წლიდან გაეხსნათ კერძო გიმნაზია მთავრობის გიმნაზიების უფლებით, მხოლოდ შემდეგ ვიშუამდგომლოთ, რომ მთავრობამ შემწეობა აღმოუჩინოსო; უმცირესობა კი ამტკიცებდა, რომ კერძო სასწავლებლის შენახვა ადგილობრივ საშუალებით ძნელია, უნდა ვეცადნოთ, მთავრობამ დაგვიარსოს გიმნაზია-წელს თუ არა, შემდეგ მაინცაო.

კრებამ დაადგინა: გახსნას მომავალ სამოსწავლო წლიდან ადგილობრივ საშუალებით კერძო გიმნაზია მთავრობის გიმნაზიის უფლებებით და ნებართვის მისაღებად გაიგზავნოს დეპუტაცია ტფილისში, სამოსწავლო ოლქის მზრუნველის საზღვარ-გარეთიდან დაბრუნების შემდეგ. დეპუტაციამ მზრუნველის გარდა, სხვა მაღალ ხარისხოვან პირებთანაც უნდა იშუამდგომლოს. თუ ვინიცობაა, გიმნაზია ვერ მოხერხდა, დეპუტაციამ კერძო პირველ ხარისხოვან სასწავლებლის ნებართვა მაინც უნდა აიღოს. მხოლოდ შემდეგ განაგრძობენ შუამდგომლობას გიმნაზიის უფლებების მინიჭების შესახებ.

დეპუტაციაში აირჩიეს თელავის მაზრის თავ. აზნ. წინამძღოლი თავ. მ. ზ. ჭავჭავაძე, ქალაქის თავის მოადგილე ყულიჯანოვი და მასწავლებელი ბარნოვი. ამას გარდა აირჩიეს ექვსი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელმაც უნდა განაგოს სასწავლებლის საქმეები.

**დავიწყებული.**

—

**სოფ. ახალქალაქი** (ქართლი) ყველამ იცის რა მივიწყებულია ყოველის მხრით ჩვენში სოფლები. თუ სადმე სოფელში გაიმართა რამე წარმოდგენა, ლექცია ან სხვა გასართობი, ეს დღე დღესასწაულად მიაჩნიათ. ამას წინად გვეწვია ტფილისიდან დასი. პირველად დასდგეს „დაძმა“ ვ. გუნიასი. დიდძალი ხალხი დაესწრო წარმოდგენას, და ძლიერ კმაყოფილიც დარჩა. ყველამ თითქმის კარგად შეასრულა თავისი როლი. მეორე კვირას, 25 ივლისს, ზოგიერთ ადგილობრივ ინტელიგენტის მეთაურობით, ილია ჭავჭავაძის ხსოვნის პატივსაცემლად, გამართულ იქმნა სადამო. წარმოადგინეს „დედა და შვილი“ ილ. ჭავჭავაძისა და ვ. გუნიას „არც აქეთ, არც იქით“. იყო საკონცერტო განყოფილებაც. ბ-ნმა იოს. იმედაშვილმა—ხამმელმა მოკლე სიტყვაში აღნიშნა ილ. ჭავჭავაძის ღვაწლი ლიტერატურის აყვავების საქმეში და მისი სამსახური ქვეყნის წინაშე. შემდეგ წაიკითხეს ილ. ჭავჭავაძის ლექსები: ქართულად და რუსულად, იმერული სცენები და სხვა.

ამ წარმოდგენას გარეშე სოფლელნიც ბლომად დაესწრნენ. მეორე დღეს აქავე დასმა დადგა სახალხო წარმოდგენა, ძლიერ დაკლებულის ფასებით.

X.

—

**ს. წინარეხი** (ქართლი). შემთხვევით მოვხვდი წინარეხსა და მის ახლო მახლო არე მარეში. სოფელი მეტად კარგია, მდებარეობს მთების ძირში, შემკულია ყველაფრით. არის ხილის ბაღები, ბოსტნები, ვენახები და სხვა. წელს ხილს არ ასხია. ასხია ვაზს, მაგრამ ისიც თითქმის სულ გაუფუჭებია გვალვას. თუმცა ვენახები ირწყვის, მაგრამ არა ყოფნით წყალი. წინარეხს ჩამოუდის პატარა მდინარე კავთურა და იმით ირწყვება მთელი ქვემო სოფლები,—კავთისხევი, იდლეთი, ნიჩბისი და სხვები. ირწყვის, მაგრამ ძალიან სცოდაობით. მთელი ალიაქოთი და შფოთი უსდებათ გლეხებს ერთმანეთში წყლის გაყოფაზე, სანამ ერთი გაათავებდეს რწყვას, მეორეს უფუჭდება. სიმინდები კი სულ ერთიან გადამხმარა გვალვისაგან.

თვით წინარეხის გლეხები, როგორც ეტყობათ, ფხიზელი ხალხი უნდა იყოს. შეხვდები ბევრს, რომელმაც კარგათ იცის ჩვენი წარსული და აწმყო. სოფელში სახლები სულ ქვითკირისაა, ეზოები და გზები (სოფ. ქუჩები) შედარებით სხვა სოფლებთან სუფთაა. არის სამი კრამიტის ქარხანა, სადაც გლეხები მუშაობენ. კრამიტი მეტად კარგის თვისებისა გამოდის. წელიწადში გამოსწვავენ სულ უკანასკნელს 100,000 ცალს, არის კიდევ სახერხაო, ჩარხით მოწყობილი. ამუშავებენ წყლით. ჩემი ყურადღება ძლიერ მიიქცია ამ ჩარხის სახერხაომ. პატრონი იაგორ მერებაშვილი ყოფილა, უსწავლელი კაცი და თავის მარჯვე ხელით გაუკეთებია ეს რთული მოწყობილება. საყურადღებო ის არის, რომ ამ უსწავლელ კაცს სადღაც უნახავს ამ გვარი ქარხანა და მერე თითონ მოუწყვია. ის ნანახი მამხერხაო კანსწავლულ ინჟინრების მიერ ყოფილა მოწყობილი. აქვე მისდევენ მეცხვარეობას, ხოლო ამ ბოლო დროს ყურადღებას მიუქცევიათ მეფუტკრეობისათვისაც ერთ ყმაწვილ კაცს, იოსებ ქეშელაშვილს დაუწყია წელს მეფუტკრეობა. ჯერ-ჯერობით ჰყავს 20 ძირი სკა. მოწყობილია ახალი სისტემით. თითონ მეფუტკრეობა ტფილისში შეუსწავლია, გამოცდილებაც აქვს. მდინარე, ტყეები, ბაღახი და ყვავილები—ყველა ეს ხელს უწყობს მეფუტკრეობის განვითარებას და აკი ქეშელაშვილსაც განზრახვა აქვს დაწყებული საქმე გააფართოვოს.

წინარეხში არსებობს წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ერთ კლასიანი სკოლა. სკოლაში სწავლობენ ქალებიცა და ვაჟებიც ოთხი წლის კურსით. მასწავლებელი ვანო გიუნაშვილი ბევრსა შრომობს. მშვენივრად შეუსწავლიათ ბავშვებს წერა-კითხვა, რუსულიც და ქართულიც, იციან მოკლედ საქართველოს ისტორია, გეოგრაფია. იცნობენ დიდ მწერლებს. იცნობენ აგრეთვე ევროპიულ ზოგიერთ გამოჩენილ მწერლებსაც. იციან, სად რა სარწმუნოების ხალხი სცხოვრობს. საზოგადოდ ბავშვები ყველაფერზე მკვირცხლად და ცოცხლად უგებენ პასუხს. სამწუხაროდ, ასეთ მასწავლებელს მეტი ჯამაგირი აქვს და იმასაც მთელის თვეობით ვერ იღებს. გიუნაშვილს არც მოზრდილები დაუტოვებია უყურადღებოდ. უქმე დღეებში უკითხავს ხოლმე წიგნებს 30—40—50 წლის კაცებს.

წინარეხიდან გავსწიეთ ქვათახევის მონასტერში. გზაში ბევრ რამ საყურადღებოს შეხვდება კაცი. არის ძველი ნამონასტრალი—ბეთლემის ეკკლესია, თითქმის გათხრებული. სანახაროთ გაუხდიათ, სავსეა ეკლესია საქონლისა და ცხვრის ნეხვით. გზა სულ ტყიანია, ხშირად შეხვდები ცივ წყაროებს. თვით მონასტერი ნამდვილ უდაბნოს წარმოადგენს. აქეთ-იქიდან დიდი მთები არტყია. მშვენიერი ადგილია. მონასტერში არის წინამძღოლი არხიმანდრიტი, ერთი ბერ-მონაზონი და ორი მორჩილი, მონასტერი გარეგნულად ღარიბი სჩანს, ბერების სადგომები მეტად ცუდათაა მოწყობილი, იატაკი არ არის დაგებული. როგორც მითხრეს, შემოსავალი აქვს თურმე მონასტერს. ეხლა ახალი წინამძღოლი დაუნიშნიათ, აბაშიძე გიორგი, კაცი უმაღლესად განათლებული და ახალგაზდა, როგორც მითხრეს, იცის თურმე ოსმალურ არაბული, ინგლისური და ცოტ-ცოტა სხვა ენებიც.

**მებაღიშვილი.**

# სევერიან ჯუღელის დასაფლავება

9 აგვისტოს გუკიის სასაფლაოზე დაკრძალეს გვამი მეტეხის ციხეში გარდაცვლილ მეორე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატ სევერიან ჯუღელისა. განსვენებულის ბინაზე 9 საათისთვის ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი. კუბო მრავალის გვირგვინითა და ყვავილებით შეამკეს.

ათი საათი იქნებოდა. ცხედარი გამოასვენეს ბინიდან თუმანოვის ქუჩაზე და წაასვენეს ქვაშვეთის ეკლესიაში. აქ გადახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი. აქაც მრავალი ხალხი შეუერთდა პროცესიას. მოიტანეს ახალი გვირგვინები.

ნაშუადღევის 1 საათზე პროცესია გაემართა კუკიის სასაფლაოსაკენ. გზა და გზა პროცესიას კვლავ მოემატა ხალხი. ნაშუადღევის სამი საათი იქნებოდა, პროცესიამ მიაღწია სასაფლაოს. წესიერება ოდნავაც არ დარღვეულა. სრული წესიერება დაიცვეს აგრეთვე სასაფლაოზე. სიტყვა სხვა და სხვა მიზეზისა გამო არავის არ წარმოუთქვამს... როდესაც მეუღლე და ნათესავ-ნაცნობები გამოეთხოვნენ ცხედარს, კუბო დაკრძალეს და ხალხი დაიშალა.

როგორცა ვთქვით, გვირგვინი მრავალი იყო. კუბო გვირგვინებით შეამკეს: დებმა და ძმებმა, ტფილისის მე-7, 6 და 9 „იაჩეიკებმა“, ტოლეს ქარხნის მუშებმა, ქართველთა გამომცემელ ამხანაგობის სტამბის მუშებმა, „ჩანგისა“ და „დროების“ რედაქციებმა, ბაქოს ს.-დ—ებმა, ქუთათურმა ამხანაგებმა, ჭიათურის ნოქრებმა, ტფ. წვრილმა ვაჭრებმა, ყვირილელებმა, ფოთელებმა, ტფ. ტრამვაის მუშებმა, ტფ. ს.-დ. კომიტეტმა, სოლქო კომიტეტმა, ტფილისელმა ნოქრებმა, საქ. სოც.-ფედ. პარტიამ, „ტფ. ლისტოკის“ სტამბის მუშათა ჯგუფმა, ტფ. პარიკმახერთა მუშებმა, მე-5 რაიონის ამხანაგებმა, რკინის გზის დეპოს მუშებმა, კონდუქტორთა ჯგუფმა, ქუთაისის და ბათუმის ნოქრებმა, გურულებმა, მეისრეებმა და სხვამ.

# გორელების საყურადღებოდ

(წერილი რედაქციის მიმართ)

გორის საოსტატო სემინარიის შესახებ „დროების“ მე-175 ნომერში გორელმა გამოსთქვა თავისი აზრი, თუ როგორ უნდა მოიქცეს გორის საზოგადოება, რომ ამიერ-კავკასიის საოსტატო სემინარია ისევ გორში დარჩეს და არ გადიტანონ ტფილისში ან სხვაგან სადმე, აგრეთვე საოსტატო სემინარიისთვის ადგილი როგორ შეიძინონ. როგორცა სჩანს, ბ-ნი გურგენოვი არ უთმობს თავის ადგილს ქალაქს 30,000 მანეთ ნაკლებ. ისიც იმ შემთხვევაში, თუ 20,000 მანეთში სემინარიის ბაღს აიღებს და, ამას გარდა, ნაღდად 10,000 მ. მისცემენ. გორელებს კი ამ ათას თუმნის შოვნა არ შეუძლიანთ. ჯერ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გურგენოვი შეამსუბუქებს გორელებს და თუ ეს არ მოხერხდა, ერთი საშუალება აქვთ გორელებს, რომ სემინარიის ბაღი ისევ სემინარიას დარჩეს და ადგილიც იშოვნონ გორში, გურგენოვის ადგილის მახლობლად არის ცნობილ ქველმოქმედების ზუბალაშვილების მაღი, სამყოფი სემინარიისთვის. მე არ მგონია, ქალაქმა ბ-ნთ ზუბალაშვილებს სთხოვონ და მათ არ დაუთმონ ეს ადგილი. იქნება ვინმემ სთქვას, ცოტა მოშორებით არისო, მაგრამ სულ ოთხას-ხუთას საჟენის [illegible] ბაღიდან ამ[illegible]. გურგენოვის მამულზე [illegible] შორს არის, [illegible] კი გვერდში ჩამოუდის. ისე ახლოა ეს მამული ახალ გაშენებულ რუსუბანზე, რომ ათ წუთში კაცი ფეხით ავა. ეხლა ქალაქჩე ხალხი ძალიან ეტანება. ჩემის აზრით, ორ წლამდის რუს-უბნიდან გადაებმის შენობები და ზედ სემინარიასთან მოვა. ამ საქმის სისრულეში მოყვანა ადვილი მოსახერხებელია, მხოლოდ საჭიროა გორის ქალაქის თვით-მმართველობამ ცოტა ფხა გამოიჩინოს.

**ალ. თუთაევი.**

# სასამართლო

**თავ. მაყაშვილის საქმე.**

დეპეშიდან უკვე იციან მკითხველებმა, რომ კაპიტანს თავ. მაყაშვილს სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედებისთვის პეტერბურგში სასამართლომ ტუსაღობა განუწესებია. ეხლა პეტერბურგის გაზეთები დაწვრილებით გადმოგვცემენ ამ ამბავს: „ნ. რუს“.-ში დაბეჭდილია:

4 აგვისტოს სამხედრო სასამართლომ გაარჩია საქმე მე-39 საარტილერიო ბრიგადის კაპიტნის თავად მიხეილ იოსების ძის მაყაშვილისა. მას ჰბრალდებოდა შემდეგი: 1907 წელს კაპიტნის ნადეჟინის გვარით იგი დასახლდა სასტუმროში და დაიწყო ხალხის მოწვევა სამსახურში. იწვევდა ისეთებს, ვისაც ბეს შეტანა შეეძლო. ნადეჟინი განცხადებებს ჰბეჭდავდა ზოგიერთ გაზეთში და იწვევდა მსურველებს თავის მამულში სამსახურზე. პირველად მასთან მივიდა ვიღაც კუდრიაშევი. იმისთვის ნადეჟინს ადგილი უნდა მიეცა ნოვგოროდის გუბერნიის, ბოროვიჩის მაზრის, როპშინოს მამულში. ამ მამულს ნადეჟინი ყველას თავისად აცნობდა. კუდრიაშევს ბედ შეუტანია 190 მანეთი. შემდეგ ვიღაც მიროტვორსკისთვის გამოურთმევია სამასი მანეთი ამას ვითომ მოურაობა უნდა მიეღო მამულში. მესამეს სიზიაკოვს 500 მანეთი ბე შეუტანია. მეოთხეს, კალნინს უნდა შეეტანა ბედ 1000 მანეთი, მაგრამ კალნინს ეჭვი შეჰპარვია ნადეჟინზე და ბე აღარ შეუტანია. ორი კვირის შემდეგ ნადეჟინი სადღაც გამქრალა და მშრალზე დარჩენილან ისინი, ვისაც ფული ჰქონდა შეტანილი.

გასულა ერთი წელიწადი. 1908 წელს, მაისის უკანასკნელ რიცხვებში, პეტერბურგში ქუჩაში კალნინს თვალი მოუკრავს კაპიტან ნადეჟინისთვის. მეორე დღეს კალნინს გაზეთებში ასეთი განცხადება დაუბეჭდია: „ივანე კარპოვიჩი ეძებს ადგილს. აქვს ფული ბესთვის“. გასულა ორი დღე და კალნინს წერილი მიუღია კაპიტან თავ. მაყაშვილისაგან. ეს უკანასკნელი იწვევდა კალნინს თავისთან, პეტრე-პავლეს ციხეში, კაპიტან ფოკელის ბინაზე. როდესაც კალნინი მისულა, დაუნახავს, რომ მაყაშვილი იგივე ნადეჟინი ყოფილა. კალნინს ყველაფერი პოლიციისთვის უცნობებია და იმავე საღამოთი თავ. მაყაშვილი მაძიებელ პოლიციაში დაუბარებიათ. დაუბარებიათ აგრეთვე წინანდელ სასტუმროს პატრონი და ისინი, ვისთვისაც ნადეჟინს ფული გამოურთმევია. ყველას ერთხმად განუცხადებია, რომ თავ. მაყაშვილი ის არის, ვინც თავის თავს ნადეჟინად აცხადებდაო.

თავ. მაყაშვილი დააპატიმრეს და სამართალში მისცეს. 14 თვის ციხეში ჯდომის შემდეგ, ეხლა გაირჩა მისი საქმე. მაყაშვილს სასამართლოში ყველაფერზე უარი უთქვამს—მე არც სასტუმროში მიცხოვრნია, არც ბე გამომირთმევია და არც კუდრიაშევს, მიროტვორსკის, სიზიაკოვს და კალნინს ვიცნობო. გაზეთი სწერს, „თავ. მაყაშვილი სასამართლოში საკმაოდ ხმა მაღლა სტიროდაო.“

ზოგიერთ მოწმეთა ჩვენებით, სხვათა შორის, ისიც გამოირკვა, რომ თავ. მაყაშვილს ვიღაც შჩედრინთან ერთად განუზრახავს პეტერბურგში ღვინის საწყობის გამართვა. იჭერდნენ თურმე მოსამსახურეებს,ართმევდნენ ბეს და ხშირად ექვსი-შვიდი თვის განმავლობაში ჯამაგირსაც აძლევდნენ მათ. თუმცა არავითარი საქმე არა ჰქონიათ.

როგორც ვიცით, თავ. მაყაშვილი დამნაშავედ იცნეს და გადაუწყვიტეს პატიმართა განყოფილება ერთი წლითა და ექვსი თვით. განაჩენი უმაღლესად წარადგინეს.

# სპარსეთი

**თეირანის დეპუტატები.**

თეირანის დეპუტატების არჩევანი უკვე გათავდა. არჩეულნი არიან.

1. სანიედ-დოულე, პირველ მეჯლისის დეპუტატად ნამყოფი; უმაღლესი სწავლა აქვს მიღებული ბერლინში.

2. ეთმამ-სალთანე, ელჩად ნამყოფი ბერლინში

3. ხაკიმ-ულ-მულკი; უმაღლესი სწავლა მიღებული აქვს პარიზში.

4. ტაგი-ზადე, თავრიზის დეპუ-

---

აზროვნებას, განსაკუთრებით ბუნებისმეტყველებას და მათემატიკას, საძირკვლად რამდენიმე მარტივ დებულებათა სისტემა უძევს, რომელთა ჭეშმარიტება საყოველთაოდ აღიარებულია. მთელი თანამედროვე ესთეტიური კულტურა, პირიქით, დაფუძნებულია ეროვნულ შეხედულებათა და გემოვნებათა დაუშრეტელს სიმდიდრეზე, რომლის აუცილებლობა და საჭიროებაც არა ნაკლებ საყოველთაოდ მიჩნეულია.

ყოველი ესთეტიური კულტურა ნაციონალურია და ის ხელოვნება, რომელიც ეროვნულ სულიდან არა შობილა, არც ეკუთვნის ნამდვილს ესთეტიურს კულტურას. ამ აზრის დამამტკიცებელი მაგალითი ბევრი იცის ხელოვნების ისტორიამ, ჩვენთვის კი საკმაო იქმნება ეგრედ წოდებულ ცრუ-კლასიკურს მიმართულებაზე მივუთითოთ მხატვრობაში, ქანდაკებაში და პოეზიაში. სანამ ახალი ევროპიული ესთეტიური აზროვნება არ განთავისუფლდა იმ წინასწარ ყალბ რწმენისაგან, რომ მშვენიერების აბსოლუტური იდეალი უკვე სავსებით მიღწეულია ბერძნების მიერ, რომ ამ მხრივ წინ ნაბიჯის გადადგმა შეუძლებელია, რომ სხვა ეროვნებებს მხოლოდ ის დარჩენიათ, რომ წაჰბაძონ ფიდიასის და ლიზიპოსის, ესქილოსის და სოფოკლის, ჰორაციუსის და ვირგილიუსის მიერ შექმნილ ნიმუშებს —საეჭვოდ გახდა არა მარტო ზრდა და წინსვლა, არამედ თვით არსებობაც კი ხელოვნებისა. აბსტრაქტული, ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული ცნება მშვენიერებისა გაქრობას უქადდა ფერთა და ფორმათა სიმდიდრეს, გრძნობათა და განცდათა მრავალ მხრივობას. მოულოდნელობას უჩვევ ესთეტიურ მოვლენათა შექმნაში, ელემენტარობას და პირდაპირობას კონკრეტულს გამოხატულებაში—ყველა იმ დიად თვისებას, რომლითაც სამართლიანად ამაყობს ყოველი ნამდვილი ხელოვნება. ესთეტიურ კულტურის წინსვლა და დღევანდელ მდგომარეობის მიღწევა შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც შემომქმედმა პიროვნებამ ხელოვნებაში შეიგნო ნაციონალურ მომენტის მნიშვნელობა და დაეწაფა ხალხურ გენიოსობის დაუშრეტელს წყაროს, რომელიც ხშირად შეუგნებლად, მაგრამ თავისებურად შობს დიადს და ორიგინალურს.

რადგან ესთეტიურს შემოქმედებას საძირკვლად ფანტაზიის და გრძნობის მოძრაობა უძევს, ესენი კი ფსიხიურ ცხოვრების ყველაზე მეტად დამახასიათებელი მხარეები არიან, ამიტომ ეროვნულ სულის ინდივიდუალობა არსად არ იხატება ისე ნათლად, როგორც ხელოვნებაში. ამ მხრივ ეროვნება მართლაც სავსებით განუმეორებელია. იტალიელ ერს—მშვენიერ სხეულის თაყვანისმცემელს, მის ნიჭს მწყობრ, ჰარმონიულ ფორმის შექმნაში, მის სიძულვილს განყენებულ, უსისხლხორცო იდეისადმი, მის ნაკლებად ფილოსოფიურს და უფრო მხატვრულს, ნაკლებად ასკეტურს და ტრანსცენდენტურს, უფრო ამქვეყნიურს და იმმანენტურს ლტოლვას და გენიოსობას—ამ ერს არაფერი ახასიათებს ისე კარგად, როგორც ის არსებითად წარმართი ხელოვნება, რომელშიაც მიქელ-ანჯელომ, რაფაელმა, ლეონარდომ და ხვ[...]ბმა გამოხატეს თავიანთი განცვიფრება და აღტაცება ჯანსაღ, ტიტველ ტანის წინაშე. პირიქით, გერმანელების მეტაფიზიკურს სულზე, მათ მუდმივს ძიებაზე შინაგან არსებისა და მშვენიერებისა, მათს რელიგიურს მისტიციზმს, ფარულ, განყენებულ იდეის სიყვარულზე, მათს ლტოლვაზე ღრმა აზრისა და საიდუმლოებისადმი, მათს უფრო ფილოსოფიურს, ვიდრე მხატვრულს ნიჭზე არავინ და არაფერი არ მოწმობს ისე აშკარად, როგორც მათი არქიტექტურა და მუსიკა, მხატვრობა და პოეზია, დიურერი და ჰოლბაინი, ბოეკლინი და კლინგერი, ბახი და ბეეტჰოვენი, შუმანი და შუბერტი. არც, მაგალითად, ესპანელ ერის თვისებანი—მისი ცოცხალი, აულაგმავი ფანტაზია, მისი კათოლიკური შეურიგებლობა, მისი რწმენა, მოუხეშაობისა და სინაზისაგან უცნაურად შეზავებული, რაინდული სიამაყე—არ გამოთქმულა სადმე ისე მშვენივრად და წარმტაცად, როგორც ველასკეცის, მურილიოს, ალონზო კანოს და გოიას მხატვრობაში ან სერვანტესის, ლოპე დე ვეგას და კალდერონის პოეზიაში. ეს მაგალითები ყველას შეუძლიან შეავსოს თავის საკუთარ ესთეტიურ გამოცდილებიდან, ჩვენის აზრის ილლუსტრაციად კი ესეცა კმარა ყოველს შემთხვევაში.

მაგრამ არა მარტო ყველაზე მეტად ორიგინალურს და განუმეორებელს ჰქმნის თვითეული ეროვნება ესთეტიურს სფერაში—ამ შემოქმედების ნაყოფი ძლიერ ხანგრძლივეაა, სხვასთან შედარებით. მეცნიერებაში და მსოფლიო მხედველობაში ხშირად განვითარების ახლად მიღწეული საფეხური სრულს წინააღმდეგობაში იმყოფება განვლილს საფეხურთან და სავსებით უარყოფს მის მიერ აღიარებულს პრინციპებს. შეცდომა ჭეშმარიტებად ხდება და ჭეშმარიტება შეცდომად გონებრივ განვითარების დიალექტიკის წყალობით. ესთეტიურ კულტურის სფერაში ასეთი აბსოლიუტური უარყოფა ყოვლად შეუძლებელია: ყოველი საფეხური წარმოადგენს დამოუკიდებელს ღირებულებას, რომელსაც არსებობის სრული უფლება აქვს. განა საშუალო საუკუნოების მეცნიერებასთან ერთად უარყოფილია გოტიური ან მავრიტანული სტილი, მითოლოგიურ აზროვნებასთან ერთად—ჰომიროსი, ნიბელუნგების სიმღერა ან ის საგმირო ეპოსი და ხალხური პოეზია, რომელიც შეკავშირებული იყო ამ აზროვნებასთან? განა შეიძლება ითქვას, რომ რომანტიულმა მიმართულებამ ხელოვნებაში ფასი დაუკარგა კლასიკურს, ხოლო რეალისტურმა ან იმპრესიონისტულმა რომანტიულს? რასაკვირველია, არა. აქ შეიძლება ითქვას, რომ განვითარება ხდება არა სუქცესიურად, არამედ სიმულტანურად, არა ასპარეზის ამაღლებით, არამედ მისის გაფართოვებით მშვენიერების ახალ და მოულოდნელ გამოხატულებათა აღმოჩენით.

თანამედროვე კაცობრიობამ დიდი ხანია შეცდომად აღიარა ძველ ეგვიპტეს ასტროლოგია და მაგია, მაგრამ ის, რაც ამ ერმა შეჰქმნა საუკუნეთა განმავლობაში ესთეტიურს კულტურაში, განსაცვიფრებელის ხანგრძლივობით მოქმედებს დღემდე: „ათასი წლებით დაგვყურებენ, — როგორც ნაპოლეონმა სთქვა,—პირამიდებისა, ობელისკებისა და სფინქსებიდან“ და უმბობენ კაცობრიობას ამ ეროვნების მელანქოლიურს სულზე, მის მოკრძალებაზე სიკვდილის საიდუმლოების წინაშე. მისი შემქნელი ეროვნული სული და არა ბრძანებელთა პიროვნება ჰყვეს უკვდავი ამ მონუმენტალურმა შენობებმა! ამ მხრივ მათი მნიშვნელობა მართლაც სიმბოლიურია: პიროვნება იბადება და კვდება, ერთი თაობა მეორე თაობას სცვლის, ეროვნება კი იჩენს თანდათანობას და იგივეობას ამ ცვალებადობაში; თავის სულიერს შემოქმედებაში კი ის ხშირად სტოვებს სფინქსივით უცნაურს ძეგლს, ან იდგამს უკვდავების უზრუნველმყოფელს პირამიდას. დღეს, როცა რწმენა ინდივიდუალურ უკვდავებისა საბოლოოდ შერყეულია, შემოქმედს პიროვნებას შეუძლიან აღმოაჩინოს ამ გარემოებაში ახალი წყარო რწმენისა და იმედისა.

**გერონტი ქიქოძე.**

ტატად ნამყოფი პირველ მეჯლისში, გამოჩენილი და მჭევრმეტყველი ორატორი, კონსტიტუციონალისტების მეთაური.

5. ზანიელ-მულკი, მწერალი.

6. ვაგოდელ-მულკი, ჟურნალისტი, ინგლისურ გაზ. „ტაიმს"-ის თანამშრომელი.

7. მუთაშენ-ულ-მულკი, ელჩად ნამყოფი ბელგიაში.

8. ვარხე-დოულე, პირველ მეჯლისში დეპუტატად ნამყოფი.

9. ჰუსეინ-კული-ხანი, პირველ მეჯლისის დეპუტატად ნამყოფი; უმაღლესი სწავლა აქვს მიღებული ლონდონში.

10. ასად-ულა-მირზა; უმაღლესი სწავლა აქვს მიღებული ლონდონში.

11. ტაგი-მირზა, პირველ მეჯლისის გამოჩენილი დეპუტატი, ძლივს გადარჩა სიკვდილით დასჯას; ამ ჟამად საბაჟოს დირექტორადაა ასტარაში.

12. სადიხ-ჰაზრათი; უმაღლესი სწავლა აქვს მიღებული სტამბოლში.

13. მუსტაფა-დოულე, პირველ მეჯლისის გამოჩენილი დეპუტატი, ისეც ძლივს გადარჩა სიკვდილით დასჯას.

14. ჰაჯი-სეიდ-ნასრულა, მოლაა, კონსტიტუციონალისტი.

**მამედ-ალი ოდესაში დასახლდება.**

„რუს. სლ."-ს კორესპონდენტს სრულიად სარწმუნო წყაროდან შეუტყვია, რომ შაჰად ნამყოფი სამუდამოდ დასახლდება ქალ. ოდესაშიო. ეხლა ბინას ეძებენ თურმე მამედ-ალისთვის. უკვე ემზადებიან მის დამსახვედრად. სპარსეთის ბრძანებლად ნამყოფი დროებით დაბინავდება სასტუმროში. მის დასახვედრად ოდესაში მოვლენ ლიახოვი და შაფშალა.

## ოსმალეთის ამბები

**შეიხ-ულ-ისლამის ფეტვა.**

ოსმალეთის მთავრობამ წინადადება მისცა შეიხ-ულ-ისლამს, პროვინციებში ფეტვა გაგზავნოს და აუხსნას ხალხს, რომ კონსტიტუცია წინასწარმეტყველის სიტყვასა და ყორანზეა დაფუძნებული, რომ ვინც კონსტიტუციას ემორჩილება, ის თითონ წინასწარმეტყველის ბრძანებას ასრულებსო.

**ხონთქარი და რუსთ-ხელმწიფე.**

„ნოვოე ვრემია"-ს შეუტყვია, რომ ხონთქარი წელს აღარ მოვა ლივადიაში რუსთ-ხელმწიფის სანახავადო: წელს ხონთქარი ყირიმში საგანგებო დესპანებს გაჰგზავნის გაზი მუხტარ-ფაშის სანახავადო. თითონ სულთანი-კი მერმის მოვა რუსთ-ხელმწიფის სანახავადო.

ამას გარდა რუსული გაზეთები იუწყებიან, რომ მომავალ სექტემბრის დამდეგს სტამბოლში მივლენ რუსეთიდან უმაღლესი სტუმრები, რომლებსაც სულთანი მიიღებსო, უმაღლესი სტუმრები მხოლოდ ორიოდე საათს დარჩებიან სტამბოლშიო.

„კასპი"-ს ატყობინებენ სტამბოლიდან: საქმეში ჩახედულ წრეებს გაუგიათ, რომ სტამბოლში სულთანთან სტუმრად მოვლენ რუსთ-ხელმწიფე და ბოლგარიის მეფე ფერდინანდიო.

## რევოლიუცია ესპანიაში

**რევოლიუციონერებს უდიერობა არ გამოუჩენიათ.**

წინად გაზეთებმა ცნობები გაავრცელეს, ვითომ ესპანიელი რევოლიუციონერები საზარელის მხეცობით ეპყრობოდნენ ბერებსა და მოლოზნებსაო. ეს ცნობები, რასაკვირველია, რეაქციონურმა გაზეთებმა, ევროპაში თუ რუსეთში, თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს: ისინი არცხვენდნენ და სახელს უტეხდნენ ესპანელ რევოლიუციონერებს და ამართლებდნენ ბარცელონის დიქტატორის გენერალ სანტ-იაგოს საშინელ სისასტიკეს. როგორც ვიცით, ეს ცნობები უკვე დაარღვიეს პირუთვნელმა კორესპონდენტებმა. ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ გაზეთების კორესპონდენტები ამ ჟამად ერთხმად მოწმობენ, რომ ესპანელ რევოლიუციონერებს არავითარი მხეცობა არ ჩაუდენიათო, რევოლიუციონერები ბარცელონაში პირიქით დიდის ყურადღებით და პატივისცემით ეპყრობოდნენ მონოზნებსაო: შემთხვევით დაჭრილი მოლოზნები რევოლიუციონერებს მაშინვე საავადმყოფოებში მიჰყავდათ ხოლმე მოსარჩენადაო. სხვათა შორის ამასვე ჰმოწმობს კორესპონდენტი ოფიციოზურ გერმანულ გაზ. „კელნიშე ცაიტუნგ" ისა, რომელსაც ვერავინ დასწამებს თანაგრძნობას რევოლიუციისადმი.

„ბერლინ. ტაგებლატ"-ის კორესპონდენტი ამნაირად ასწერს რევოლიუციონერების ქცევას:

თუმცა მეტის-მეტად აღელვებულნი იყვნენ, კატალონიის (კატალონია—პროვინციაა, რომლის უმთავრესი ქალაქი ბარცელონაა) მუშებმა გამოიჩინეს ისტორიაში უმაგალითო თავდაჭერილობა და კაცთ-მოყვარეობა. მონასტრების წინამძღვრებსა და კლერიკალურ სკოლების უფროსებს მათ წინდაწინვე შეატყობინეს, რომ ეგ დაწესებულებები მოსპობილ იქნებაო. ბერებს ნება მისცეს, თან წაეღოთ მთელი თავიანთი ქონება; ზოგიერთ შემთხვევაში მცველებიც გააყოლეს. მხოლოდ ორ შემთხვევაში მოჰკლეს ორი ბერი, რომელთაც რევოლიუციონერებისთვის რევოლვერი დაეშინათ. ეტყობა, კატალონიის ხალხს ტყუილად არ დაუკარგავს დრო და ბევრი რამ უსწავლია და შეუგნია.

მონასტრების განადგურების დროს რევოლიუციონერები ბანკის ბილეთებსაც სწვავდნენ, გაცარცვით-კი სრულებით არავინ გაუცარცვავთ.

მხოლოდ შემდეგში, როცა რევოლიუციონერებს ავარა ხალხი მიეტმასნა, მოხდა ურიგო ამბები.

გერმანულ გაზ. „ფრანკფურტერ ცაიტუნგ"-ის კორესპონდენტიც ამტკიცებს, რომ რევოლიუციონერები წესიერად და რიგიანად ექცეოდნენ ბერებსაო. ბერებს ნებას აძლევდნენ მონასტრებიდან მთელი ქონება, თვით ფული და ბანკის ბილეთებიც კი წაეღოთ. ავადმყოფი ბერები თავიანთ ხელით გაიყვანეს მონასტრებიდან გულმტკივნეულმა რევოლიუციონერებმა. ბარცელონას განაპირა უბანში—გრაციაში, ხალხი ერთ მონასტრის დასაწვავად გაემართა. მონასტრიდან ვიღაცა გამოვიდა და სთხოვა ხალხს—ნუ დასწვავთ მონასტერს, რადგან იქ მეტად ბევრი სულით ავადმყოფი ქალი იმყოფება, ხოლო მათი გაყვანა ძლიერ ძნელი იქნებაო. ხალხმა მაშინვე ხელი აიღო თავის განზრახვაზე და დაიშალა.

სამაგიეროდ მთავრობის წარმომადგენლები თურმე საშინელ უდიერობასა და სისასტიკეს იჩენდნენ და დღესაც იჩენენ.

ამ დღეებში ბარცელონაში თოფით დახვრიტეს რევოლიუციონერების მეთაური ბარო და ამბობენ, რომ კიდევ 6 დატუსაღებულ რევოლიუციონერს დასჯიან სიკვდილითაო. ამ ამბავმა მეტად ააშფოთა ევროპის პრესა. გერმანული გაზ. „ბერლ. ტაგებლატი" ჰფიქრობს, რომ თუ რევოლიუციონერები ხმას არ ამოიღებენ, მთავრობა მუსრს გაავლებს ყველას, ვისაც კი მონაწილეობა მიუღია აჯანყებაშიო. მართალია ესპანელი დიპლომატები საზღვარ-გარედ ყველას არწმუნებენ, ვითომ ცნობები ესპანიის მთავრობის უდიერობაზე გაზვიადებულიაო, მაგრამ მათი სიტყვა არავის სჯერა, რადგან ბარცელონის ამბები საკმაოდ ნათლად მოწმობენ ესპანიის მთავრობის საზარელ გულქვაობას.

## საყოველთაო გაფიცვა შვეციაში

„რუს. ვედ."-ის საკუთარი კორესპონდენტი იუწყება: „რკინის გზის მუშებმა ხმის უმეტესობით უარი სთქვეს გაფიცვაზე.

3 აგვისტოს გაიფიცნენ სოფლის შეკავშირებული მუშები, მაგრამ მათი გაფიცვა, როგორც ეტყობა, არ გაძლიერდება, რადგან ბევრი შეუკავშირებელი მუშა ისევ განაგრძობს მუშაობას.

ასოთ-ამწყობები განაგრძობენ გაფიცვას. გაზეთები ისევ დაკლებულის ფორმატით გამოდის: მათ აწყობენ თითონ გაზეთის თანამშრომლები.

ფოსტალიონებმა უარი სთქვეს გაფიცვაზე. მათმა კავშირმა დაადგინა, ყოველმა ჩვენმა წევრმა კვირაში ერთი დღის სამუშაო მაინც გადაიხადოს გაფიცვის კომიტეტის ფონდისთვისო.

ამბობენ, მთავრობა კიდევ შეეცდება მუშების და მრეწველების მორიგებასო.

მუშათა კომიტეტმა 120 ათასი კრონი მიიღო ნორვეგიიდან, 100 ათასი მარკა გერმანიიდან, 50 ათასი დანიიდან.

„რეჩ"-ის კორესპონდენტი სწერს: „ამბობენ, ასოთ ამწყობების გაფიცვა არ მოხერხდაო, გაზეთები გამოდისო. მართალია გაზეთები გამოდის, მაგრამ ვაი იმ გამოსვლას, სულ რომ არ გამოდიოდეს, ის ემჯობინებოდა; დიდ გაზეთებს ჩვეულ მკითხველს სულ ვერ აკმაყოფილებენ ეხლანდელი თხელი ფურცლები.

თუმცა რკინის გზების გაფიცვა არ გამოაცხადეს, მაგრამ ფაქტიურად იგი მაინც არსებობს, საქონლის მატარებლები სულ აღარ დადის ტვირთის უქონლობის გამო, ხოლო სამგზავრო მატარებლებითაც აღარავინ მიდის, მაგალითად, საჩქარო მატარებლებში წინად 300-400 კაცი მოიყრიდა ხოლმე თავს თითოში, ეხლა-კი ძლივს 30-40 კაცი ჩაჯდება ხოლმე.

მრეწველების იმედი, რომ მუშები მალე გატყდებიანო, ჯერ-ჯერობით მაინც არ გამართლდა. პირიქით, პროვინციიდან მუდამ ამბავი მოდის, რომ მუშაობა ისპობაო. მუშათა კომიტეტის ანგარიშით, ამ ჟამად გაფიცვაში 100 ათასი შეუკავშირებელი მუშაც იღებს მონაწილეობას. მართალია ზოგან მუშებმა დაიწყეს მუშაობა, მაგრამ ესეთ მუშების რიცხვი მცირეა. მუშების მეთაურები დარწმუნებულნი არიან, რომ თუ საქმე ასე წავა, შეიძლება გაფიცვამ მთელ თვეს გასტანოსო. საშუალო კლასები და წვრილი ვაჭრები მხარს უჭერენ და ეხმარებიან მუშებს და ნისიად აძლევენ საქონელს.

მუშებმა კიდევ მოახდინეს ერთი დიდებული მიტინგი, რომელსაც 30,000 კაცი დაესწრო. ამ მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა ბრანტინგმა, მუშების საყვარელმა მეთაურმა. ბრანტინგი—ჩამომავლობით მდიდარი კაცია, მთელი თავისი ქონება მან შეალია სოციალ-დემოკრატიულ პარტიას; იგი ითვლება გამოჩენილ პუბლიცისტად და მის ნიჭს თვით მისი მტრებიც არ უარ-ჰყოფენ, ამასთანავე იგი დიდი ჯენტლმენია. ამ ჟამად ბრანტინგი მუშების პარტიის წარმომადგენლადაა არჩეული პარლამენტში.

ბრანტინგმა მკაცრად გაჰკიცხა მთავრობისა და მოხელეების მოქმედება. მისი აზრით, მთავრობა ცდილობს, მუშები გამოიწვიოს, აალელვოს და ბოლოს დაამარცხოს. მაგრამ ბრანტინგი ჰფიქრობს, რომ მთავრობის მოქმედება ეწინააღმდეგება მოქალაქეთა უმეტესობის სურვილსა და ინტერესებსო. დასასრულ ბრანტინგმა კიდევ ერთხელ ურჩია მუშებს, დინჯადა და წესიერად მოიქეცით, რადგან სიდინჯე და წესიერება ხელს შეუწყობს ჩვენს გამარჯვებასო.

## რუსეთი

**✦ ამ დროული სტატისტიკა.** გაზეთების ცნობებით 1—31 ივლისამდე მთელ რუსეთში სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტიათ 192 კაცისთვის აქედან:

| | |
|---|---|
| ტფილისში | 19 კაცისთვის. |
| კურსკში | 17 „ |
| კიევში | 15 „ |
| ვარშავაში | 11 „ |
| ვლადიმირში | 7 „ |
| პეტერბურგში | 6 „ |
| ოდესაში | 6 „ |
| კავკაზში | 5 „ |
| ეკატერინოსლავში | 4 „ |
| ვილნოში | 3 „ |
| დვინსკში | 2 „ |

ტამბოვსა, იშიმაა, რეველსა, გროზნასა, ლოძსა, ბაქოსა და სოფელ მედვედეში—თითო კაცისთვის. ამ თვეში სიკვდილით დაუსჯიათ 34 კაცი. სულ იანვრიდან 31 ივლისამდე სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტიათ 841 კაცისთვის, სიკვდილით დაუსჯიათ 381 კაცი.

გასულ თვეში ადმინისტრატიულად წესით გაზეთები დაუჯარიმებიათ 6,700 მანეთით. ზოგიერთი გაზეთები გასულ თვეში ორ-სამჯერ დაუჯარიმებიათ. სულ პირველ იანვრიდან 31 ივლისამდე ადმინისტრატიულის წესით გაზეთები 54,425 მანეთით დაუჯარიმებიათ.

**✦ მასალების შეკრება.** „ბაკუ"-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: სახელმწიფო სათათბიროს ოქტომბრისტების ფრაქციამ კიევსა, ყაზანსა და მოსკოვში რამდენიმე დეპუტატი გაგზავნა. დეპუტატები ამ ქალაქების მასალებს შეჰკრებავენ საინტენდანტოებში აღმოჩენილ ბოროტ-მოქმედებათა შესახებ.

**✦ აფეთქება წყალ-ქვეშ მავალ ნავზე.** პირველ აგვისტოს ნოვო-ადმირალტეისტვოს ნავთსადგურში საშინელი უბედურება დატრიალებულა. ამ დღეს უნდა გამოეცადნათ ახლად გაკეთებული წყალქვეშ მავალი ნავი „დრაკონი". უბედურობის დროს ნავზე 27 კაცი ყოფილა. ინჟინერის მეთაურობით მატროსები და კერძო მუშები ბენზინომოტორის გამოცდას შესდგომიან, უცბად რაღაც მიზეზით აფეთქებულა ბენზინი და „დრაკონს" ცეცხლი წაჰკიდებია. „რუსკ. სლ." ასე აგვიწერს ამ ამბავს: ესე $12^{1}/_{2}$ საათზე გაისმა საშინელი გრიალი, ახლო-მახლო სახლებმა სულ ზანზარი დაიწყეს. ნოვო-ადმირალტეისტვოს ნავთ-სადგური ბოლით გაივსო. ხალხი ნავთ-სადგურისკენ გაეშურა, მათ თვალ-წინ საშინელი სურათი გადაიშალა, მთელი ნავი ცეცხლში იყო გახვეული. ნავიდან გულშემზარავი ხმა ისმოდა. ნავთ-სადგურზე მალე ადმინისტრაციაც გაჩნდა. იმ მატროსებს, რომლებიც ბაქანზე მუშაობდნენ მოესწროთ წყალში გადახტომა, დანარჩენები შიგ მოჰყოლოდნენ და საშინელის ხმით შველას თხოულობდნენ. ყველა დაფაცურდა საშველად. რამდენიმე გაბედული მუშა ნავით „დრაკონისკენ" გაექანა და შიგ მყოფი მუშები გადაარჩინა სულ გადაარჩინეს 10 კაცი. დანარჩენები საშინლად არიან დაშავებულნი. ერთ მატროსს თვალები სულ აღარ აქვს. საშინელი სანახავია საცოდავი, დარჩენებს ზოგს ფეხი აქვს მოგლეჯილი, ზოგს ხელი, ზოგს თავი აქვს დამტვრეული და სხვა. სულ დაშავდა 17 კაცი. ექიმების შემოწმებით დაშავებულების მდგომარეობა საშიშოა, მათში უმეტესობა ვეღარ იცოცხლებს".

## აკაკი წერეთლის ფონდი

სია შემომწირველთა აკაკი წერეთლის ფონდის სასარგებლოდ ქალაქ ახალციხეში მოკრებილ ფულისა:

ხუთ-ხუთი მან.: კნეინა თამარ ვაჩნაძისა, ნინო ლაზარაშვილისა, იაკობ ნადირაძე, მიხეილ კვალიაშვილი, ერმონია ორბელიანისა; სამ-სამი მანეთი: ა. ერემოვი, პ. ბუტკოვსკი, ს. ჯაფარიძე, ვ. გამრეკელი; ორ-ორი მანეთი: ბ. ლოლობერიძისა, რ. რ. ბეგიშვილი, ი. მაისურაძე, ა. ზედგინიძისა, ალელიშვილისა, ა. ფირალოვისა, დეკანოზი დ. ხახუტაშვილი პ. ხოჯევანოვი, დ. ენუქიძე, თაყაიშვილი, ი. ყანჩაველი, ა. ტერგრიქოროვისა, ნ. მუსხელაშვილისა, ე. ქარხოევისა, პ. ხუნდაძე, ვ. დაფქვიაშვილი, ს. ყურაშვილი, მღვდელი ბ. კანდელაკი, კ. მეფისაშვილისა, პ. ამაშუკელი; მანეთ ნახევარი—ევ. ათაბაგი; ექვსი აბაზი—მღვდ. პ. გიორგაძე, თითო მანეთი: კოტე გვარამაძე, ი. ხმალაძე, პატრი ბალოშვილი, ს. ზაიბურთელისა, ა. გოგინოვისა, ქ. გვარამაძე, ე. კანდელაკისა, იმ. ხმალაძისა, გ. მეფისაშვილი, ქ. გულისაშვილისა, ვ. თამარაშვილი, გ. გასპაროვი, ე. ბეთანოვისა, დ. სალარიძისა, ქ. ალევსკისა; ათ-ათი შაური: ი, გუგავა, ს. ნებაძე, გ. ფილიპოვი, ი ზალინოვი, ს. ყარსელაშვილისა, მღვდ. ვარძელოვი, ს. გასპაროვი, ი. ათაბაგი, ლ. ქურქიბაშიშვილი, მღვდ. კ. შუშაბერიძე, იაკობ ბ.; ორი აბაზი: მღვდ. ი. ფაფეროვი; ექვსი შაური სამი კაპეიკი—მღვდ. ტ. გარსიევი, ხუთ-ხუთი შაური: ი. ბურნუსოზოვი, გ. ხითაროვი, გ. ბეგიშვილი, კრისტინე ისკანდაროვისა, ნინო ნ., თითო აბაზი: მ. მამულაშვილი; ს. ბეგოვი, სანდრო ყ., ვ. ყარსელოვი; სამი შაური—ა. ხითაროვი; ორ-ორი შაური: ი. პოლოლიკოვი, ვლ. ვასილცოვი.

სულ შედგა 103 მან. 33 კ. ამას გარდა 7 დეკემბრის 1908 წელს გაიმართა საიუბილეო საღამო.

შემოსავალი: ბილეთებიდან—210 მან. პრემია—12 მან. სულ 222 მანეთი.

ხარჯი: ტფილისში სამი დეპუტატის გზის ხარჯი—66 მანეთი. ტფილისიდან უფასოდ დასარიგებლად გამოწერილი იქმნა 400 ც. აკაკის კრებულისა და ხუთი დიდი სურათი—9 მან. 16 კაპ., აფიშების, პროგრამების და ბილეთების დაბეჭდვა—2 მან. 50 კ, სომხის სკოლის მოსამსახურეებს—3 მან. 20 კ., ჩოხებისა—6 მან. 35 კ., ტელეგრამებისა გუბერნატორთან და აკაკი წერეთელთან—4 მან. 05 კ., პარიკმახერს—4 მან., მემუსიკეს კაროს—10 მან., დეკორატორს—4 მან. 10 კ., კლუბის გასანათი, გასათბობი და მოსამსახურეებს—15 მან. 32 კ., როიალის გადასატანი და ქალს მოახლეს (საგარდერობოში) — 2 მან., ორი გერბის მარკა თხოვნისათვის—1 მან. 50 კ., წვრილი ხარჯები (ბენგალის ფხვნილი, ბაირაღები, ლურსმანი, სანთელი, ნაძვი, აფიშების გაკვრა, კალენკორი, ფერადი ქაღალდი და სცენა) 13 მან. 26 კაპ. დაიხარჯა—141 მან. 99 კაპ., ბილეთების მარკები—3 მან. 29 კ. სულ—145 მან. 18 კაპ.

დარჩა წმინდა შემოსავალი საღამოდან 76 მან. 72 პ. ფონდის სასარგებლოდ შემოწირულებიდან 103 მან. 33 კაპ. სულ 180 მან. 05 კაპ. ეს ფული გადაეცა ტფილისის მთავარ საიუბილეო კომიტეტს 1908 წელს 24 დეკემბერს (ტალონი კვიტანციისა № 9).

აკაკი წერეთლის საიუბილეო კომიტეტი ქ. ახალციხეში თავის ზნეობრივ მოვალეობად სთვლის, უღრმესი მადლობა გამოუცხადოს ქ-ნთ ხუნდაძის ასულს და ა. ივანოვის ასულს, ბ-ნთ ტენგინის მე-77 პოლკის კაპელმეისტერს ვაცკოვს, მ. ნაზარევიჩს, ხ. ტერ-ცნოქიანცს, ა. მურადოვს, ვ. თამარაშვილს, ც. ვრსკრესენსკის, ს. ციხითატრაშვილს და ყველა იმათ, რომელთაც 7 ქრისტეშობისთვის 1908 წ. საიუბილეო საღამოს გამართვას ხელი შეუწყეს.

კომიტეტის მინდობილობით თავმჯდომარე კნ. **თამარ ვაჩნაძისა.**

**მკურნალობა**

პირველი ქართ. სამკურნალო

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირებს გარდა

**დ ი ლ ი თ :**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.
**უ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.
**ბ. მ. ტურბოვიჩი:** 1—2 ნახ. საკუთარ საბებიო და ქალებისა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი თ :**

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ.—1—147)

# სახლი

რომელიც იყიდებოდა 8 ათას მანეთად, პატრონის წასვლის გამო, ეხლა იყიდება ხუთი ათას მანეთად. კოჩუბეის ქ, № 16, ჰკითხეთ დეკანოზოვს. (3—1009—3)

**დ**აიბეჭდა ქართული პიესები: **„უშნო ბარშიყი"**, კომ. 3 მოქმ., **„სოფიო"**, ვოდევ. 1 მოქმ., **„დუქნის თითხში"**, სცენა ქალაქის ცხოვრებიდან, თხზულებანია ალ. თუთაევისა. გამოცემა მეორე. ფასი 20 კაპ.

იყიდება: წ.-კ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზიაში; „ცოდნის" წიგნის მაღაზიაში. ქ. გორში—არსენ კალანდაძესთან, ტფილისში—დიდუბეში ავტორთან ხაკ. ხაზ. N 212. ვინც 20—50 ცალს გამოიწერს, დაეთმობა 25%. (25—393—6)

ტ. მ. ფილოიანის

# საკომერციო ცოდნის კურსებზე

(მიხეილის პროსპ. N 24/4).

ასწავლიან **ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ** ენებს. თავისუფლად კითხვას, წერას და ლაპარაკს კაცი რვა თვეში შეისწავლის თეორეტიულ და პრაქტიკულ მეცადინეობით. მოეწყობა ჯგუფები ლათინურ ენის შესასწავლად სიმწიფის ატესტატის მისაღებად. მიღება 10—12 ს. და 4—7 ს.

კურსების დამაარსებელი საკომერც. მეცნიერებათა კანდიდატი **ტ. ფილოიანი.**
(5—ხალ.—1)

# გადასდეთ ორი მანეთი თქვენის ბედის საცდელად!

**ამ ორი მანეთით მოიგებთ 2500 მანეთს!**

გამოგზავნეთ დაუყოვნებლივ ორი მანეთი და თქვენი საკუთრება იქნება მთავრობის მე-193 ლატარიის მეორე კლასის ტირაჟისთვის ბილეთის 1/4. მოგებათა ტირაჟი მოხდება 27 და 28 აგვისტოს და რადგან ამ ტირაჟში მონაწილე ბევრია, ურჩევთ ყველას, დააჩქარონ ფულის გამოგზავნა. ფულის მიღებისათანავე თქვენ გამოგეგზავნებათ მოწმობა, სადაც აღნიშნული იქნება თქვენი ნომერი. ტირაჟის შემდეგ ყველა მონაწილეს გაეგზავნება მოგებათა ოფიციალური ცხრილი. მოგების დროს მომგებს ეს ამბავი დეპეშით ეცნობება და მოგებული ფული იქ გაიგზავნება, სადაც იგი ცხოვრობს. ფული ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს:

**კანტორა შ. ფრენზელისა, ვარშავა, პანსკაია № 36.**

სრული ბილეთი ღირს 8 მანეთი (მოგება 10,000 მანეთია), ნახევარი ბილეთი—4 მანეთი (მოგება 5,000 მანეთი). (3—ფ.—2)




# ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის მაღაზია ქ. ქუთაისში.

ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.

საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ"-ზე.** საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით. ქარგვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.

აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბ-ს გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერ-მოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.

**ა დ რ ე ს ი:** А. Р. Табагари, г. Кутаисъ.

(100—6—62)

სტამბა „სინათლე" რუსის ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი **ი. ს. აგლაძე.**